პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 5 (19147) კვირა, 6 იანვარი, 1985 წელი. ფასი 3 კაპ.

ხალხის რჩეულნი

გრძელდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების დასახელება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს: ზემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის მეორეთა ბრიგადის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი **ნაზო აბრამის ასული პეტრიაშვილი** — ახმეტის რაიონის № 230 ზემო ალვანის საარჩევნო ოლქში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე **ნუგზარ შალვას ძე ენდელაძე** — № 248 საჩხერის საარჩევნო ოლქში, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს თბილისის № 13 საერთო-სამშენებლო ტრესტის № 4 სამშენებლო სამმართველოს ელექტრო-შემდუღებელი **ედვარდ ფარხადანის ძე კაპანაძე** — ქალაქ თბილისის პირველი მაისის რაიონის № 23 ჩელუსკინელთა საარჩევნო ოლქში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თამარ ვასილის ასული ლაშქარაშვილი** — კასპის რაიონის № 104 ახალქალაქის საარჩევნო ოლქში, ბენარის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მწველავი — მწყემსი **ლიანა სიმონის ასული მღებრიშვილი** — ადიგენის რაიონის № 139 აბასთუმნის საარჩევნო ოლქში, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი **ნელი ვლადიმერის ასული გურგენიძე** — ქალაქ თბილისის კალინინის რაიონის № 43 მთაწმინდის საარჩევნო ოლქში, ტყიბულის ორჯონიკიძის სახელობის შახტის მესამაგრე **ვასილ ვლადიმერის ძე მეხხორაძე** — ქალაქ ტყიბულის № 277 ლენინის საარჩევნო ოლქში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი **გიორგი ნიკოლოზის ძე ჯიბლაძე** — ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის № 9 ძდანოვის საარჩევნო ოლქში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს შორის არიან სოხუმის სატელეფონო-სატელეგრაფო სადგურის კომუტატორის საამქროს ტელეფონისტი **მარგო აკაკის ასული ფარლალავა** — ქალაქ სოხუმის № 363 სოხუმის საარჩევნო ოლქში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი **ემილ ალექსის ძე სეხნიაშვილი** — ქალაქ რუსთავის № 185 25 თებერვლის საარჩევნო ოლქში, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტის ბათუმის სახლთსაშენებელი კომბინატის მემონტაჟე **რომან უშანგის ძე ცხვარაძე** — ქალაქ ბათუმის № 404 ენგელსის საარჩევნო ოლქში, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი — ჯარების სარდლის პირველი მოადგილე **ანატოლი ნიკოლოზის ძე კლეიმენოვი** — გალის რაიონის № 400 ნაბაკევის საარჩევნო ოლქში, ლენინგორის რაიონის სოფელ ლარგვისის კოლმეურნეობის მწყემსი **ვაჟა შაქროს ძე შერმადინი** — № 439 ლენინგორის საარჩევნო ოლქში, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის — საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი **დევი გიორგის ძე სტურუა** — ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიონის № 38 პოსარევის საარჩევნო ოლქში, გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქტორი **ნიკოლოზ გიორგის ძე ჩერქეზიშვილი** — ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის № 58 ნუცუბიძის საარჩევნო ოლქში, გულრიფშის რაიონის სოფელ ბალაქიშთას კიროვის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე **როზა მელიქის ასული ზეითუნიანი** — № 386 გულრიფშის საარჩევნო ოლქში, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე **სულხან თევდორეს ძე ცინცაძე** — ქალაქ თბილისის კალინინის რაიონის № 45 გ. ტაბიძის საარჩევნო ოლქში, თბილისის ქარხანა „მიკროძრავის" მეინსტრუმენტე-ზეინკალი **ნოდარ დავრიშის ძე მამრაშო** — ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის № 74 5 დეკემბრის საარჩევნო ოლქში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი **მიხეილ მიხეილის ძე ხანანაშვილი** — ქალაქ თბილისის საბურთალოს რაიონის № 69 კოლხიდის საარჩევნო ოლქში, თერჯოლის რაიონის სოფელ სიქთარვის კოლმეურნეობის აგრონომი **ნარგიზა ანდრიას ასული მემანიშვილი**

(დასასრული მე-2 გვ.).

მერმისის ხედვით

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. უ. ჩერნენკოს სტატია „განვითარებული სოციალიზმის მოთხოვნათა დონეზე" უდიდესი მოვლენაა მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემდგომი განვითარების სფეროში.

დღეს, როდესაც ჩვენმა ქვეყანამ განვლო დაძაბული ალმშენებლობითი საქმიანობის უმნიშვნელოვანესი ეტაპი და ათწლეულების შემოქმედებითი შრომის ლოგიკური კანონზომიერი შედეგებით განვითარებული სოციალიზმის ეტაპი დაიწყო, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება როგორც უკვე განვლილი გზის ყოველმხრივ ერთხელ კიდევ გაანალიზება-გააზრებას, მისთვის ზუსტი მეცნიერული შეფასების მიცემას, ასევე მომავალი, არანაკლებ დაძაბული საქმიანობის წინასწარ მოხაზვა-განჭვრეტას. საქმის წარმატებას ის გადაწყვეტს, თუ როგორ გავაცნობთ, ავუხსნით და შევაგნებინებთ თითოეულ კომუნისტს, თითოეულ მშრომელს ამ სამომავლო ამოცანების მნიშვნელობას, სირთულეს. ახლა უპირველესი საზრუნავია, როგორც აღნიშნავს ამხანაგი კ. უ. ჩერნენკო, გავუღვივოთ ადამიანებს ამ ამოცანების შემოქმედებითი გადაწყვეტის მოთხოვნილება.

იმ გლობალური მნიშვნელობის ამოცანათა შორის, რომლებზეც სტატიაშია საუბარი, ჩვენი პარტიის მეთაური გამოყოფს ერთ-ერთს — ეკონომიკისადმი პარტიული ხელმძღვანელობის პრობლემას. ქვეყნის ეკონომიკას, დაადგა რა მიჯნას, რომელზეც მისი თვისებრივი ძვრები და ცვლილებები აუცილებელ პირობად იქცა, მართვის უფრო დახვეწილი ფორმები სჭირდება. ამ მრავალწახნაგოვანი პრობლემის გადაწყვეტას მნიშვნელოვანწილად მაინც მისდამი პარტიული ხელმძღვანელობის სრულყოფისათვის საქმიანობამ უნდა შეუწყოს ხელი. „პარტიისათვის მეურნეობის გაძღოლა ნიშნავს, — აღნიშნავს ამხანაგი კ. უ. ჩერნენკო სტატიაში, — უწინარეს ყოვლისა, უძღვებოდეს მეურნეობის მწარმოებელ ადამიანებს. სამეურნეო საქმეები, პოლიტიკური მეთოდები — აი, არსებითად, ეკონომიკისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ფორმულა".

აი ფორმულა, რომელიც ამოსავალ დებულებად უნდა იქცეს ჩვენს ხელმძღვანელობითს საქმიანობაში და მთლიანად წარმართოს ჩვენი შემდგომი მუშაობა ეკონომიკის სფეროში.

ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის კომუნისტებმა, მშრომელებმა კარგად იციან, თუ რა დიდი ამოცანები აქვთ გადასაწყვეტი და რა დაძაბული საქმიანობა მოუხდებათ წელს მათს შესასრულებლად. ეს ხომ პარტიის მორიგი, XXVII ყრილობის წელია. ამიტომაც დედაქალაქის სხვადასხვა რაიონის მშრომელები, ეჯიბრებიან რა ერთმანეთს დევიზით „სკკპ XXVII ყრილობას — მაღალეფექტიანი, რაციონალურად ორგანიზებული შრომა", ფაქტობრივად უზრუნველყოფენ ფაშისტ გერმანიაზე ჩვენი ხალხის გამარჯვების 40 წლისთავის, აგრეთვე სტახანოვური მოძრაობის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრას. ამასთან ჩვენი რაიონის მშრომელების ვალდებულებათა სპექტრი ძალზე მრავალფეროვანია. ჩვენი რაიონის მშრომელები ილვწიან რათა უთუოდ შეასრულონ შემხვედრი გეგმები, დამატებით 2 პროცენტით გაადიდონ შრომის ნაყოფიერება და 1 პროცენტით შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება, პროდუქციის მატებას ძირითადად მიაღწიონ შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით, ხორცი შეასხან მატერიალური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ხარჯვის ნორმების შემცირების დადგენილ დავალებებს, გაზარდონ სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება, უზრუნველყონ საწარმოთა რეკონსტრუქცია და ტექნიკური განახლება, წარმოების ინტენსიფიკაცია და კულტურის ამაღლება, დააჩქარონ მშენებლობის ტემპი და გააუმჯობესონ ხარისხობრივი მაჩვენებლები, გაადიდონ ყველა სახეობის ტრანსპორტის გამოყენების ეფექტიანობა. გარდაქმნან მომსახურების სფეროს საქმიანობა... რაიონის მრეწველობის მუშაკებს გადაწყვეტილი აქვთ რეალიზაციის მოცულობისა და მეტწილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების წლევანდელი საგეგმო დავალებანი ვადამდე 28 დეკემბრისათვის შეასრულონ. რაიონის მშრომელებს შეგნებული აქვთ, რომ ამ უდიდესი მნიშვნელობის ამოცანებს ახლიდვე ძალისხმევა სჭირდება, ხოლო მათი მზადყოფნა ამ ამოცანათა სრულად, ბოლომდე შესრულებისათვის საბრძოლველად საბოლოო გამარჯვების ყველაზე ნაღდი გარანტიაა.

მ. ჭულაძე,
საქართველოს კომპარტიის თბილისის პირველი მაისის რაიკომის პირველი მდივანი.

„კომუნისტის" კორესპონდენტები გვატყობინებენ:

ახალი წლის პირველ დღეებში

◆ **ზესტაფონი.** გასული წლის მიღწევების განმტკიცებისა და ხუთწლედის დავალებათა შესრულების უზრუნველყოფისადმი მისწრაფებით დაიწყო ახალი წელი „სახლვინმრეწვის" საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა. მან უკვე 5 იანვრისათვის ჩამოასხა 7,5 ათასი დეკალიტრი ღვინო, გაგზავნა 25 ათასი დეკალიტრი სასაქონლო ღვინომასალა და გამოუშვა 650 ათასი მანეთის საერთო პროდუქცია.

აღებული ტემპი დამკვრელურია. შრომის მაღალი კულტურით გამოირჩევიან ზესტაფონის ღვინის დაძველებისა და ჩამოსხმის ქარხანა (დირექტორი — ა. ბრეგვაძე), ვაჭევისა და ზესტაფონის სათაო ქარხნები (დირექტორები — ზ. ალავიძე და ღ. ჭუბაბრია) და საკონიაკე სპირტების საწარმო (წარმოების უფროსი — თ. ჭიჭიაშვილი).

უთუოდ შევასრულოთ საგეგმო დავალებანი! — ასეთია ზესტაფონელ მეღვინეთა გადაწყვეტილება.

◆ **ვანი.** ციხესულორის მებოსტნეობა-მევენახეობის მეურნეობის მშრომელებმა სახელმწიფოს 1.185 ტონა ბოსტნეული, მათ შორის 82,5 ტონა ხახვი მიჰყიდეს და ახლა ახალ ბარაქიან მოსავალს უყრიან საფუძველს. მათ უკვე მოამზადეს ნიადაგი კომბოსტოს და ხახვის ჰილის დასარგავად და დარგავა-გაშენების სამუშაოებიც წარმატებით მიმდინარეობს.

მოწინავე მებოსტნეებმა ვ. მოსავლიძემ, მ. კოპალეიშვილმა, ო. შათირიშვილმა, ზ. ნაფეტვარიძემ, ლ. კალანდაძემ და სხვებმა უკვე შეასრულეს კომბოსტოს დარგვის სამუშაოები.

◆ **გაგრა.** მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი — სოციალისტური შრომის გმირი ვ. ძნელაძე) მეცხოველეებმა შარშან დიდი გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის რძისა და ხორცის მიყიდვის დავალებანი. საგეგმოზე 55 ტონით მეტი რძე და 34 ტონით მეტი ხორცი მიჰყიდეს სახელმწიფოს.

წარმატებებს აღწევენ ახალი წლის პირველ დღეებშიც. მეცხოველეებმა ახალი წლის პირველ დღეს სახელმწიფოს მიჰყიდეს 532 ცენტნერი რძე, მეორე დღეს — 563 ცენტნერი, მესამე დღეს — 566 ცენტნერი, ეს შარშანდელ მაჩვენებლებს შესაბამისად 11, 12 და 13 ცენტნერით აღემატება.

გაგრელი მეცხოველეების გადაწყვეტილებაა მეთერთმეტე ხუთწლედის მეხუთე, დამამთავრებელი წლის დავალებანი ნოემბრის ბოლოს შეასრულონ.

მოწინავეთა მხარდამხარ

გარჯა, შემართება და ენთუზიაზმი

1985 წლის პირველი შრომითი დღეები კარგად დაიწყო ჩვენს კოლექტივში, ამას საფუძველი შარშანდელმა წელმაც ჩაუყარა. რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის ფლაგმანმა — ლენინის სახელობის შახტის მოწინავე კოლექტივმა მეთერთმეტე ხუთწლედის ოთხი წლის დავალებანი ვადაზე ადრე, 10 ნოემბრისათვის შეასრულა.

ეს წარმატებანი იმის შედეგად მოვიპოვეთ, რომ უფრო ორგანიზებულად მოვაწყვეთ სოციალისტური შეჯიბრება, ფართოდ დავნერგეთ მუშაობის საუბნოსაიჯარო მეთოდი, გავზარდეთ თითოეული მუშისა და ინჟინერტექნიკოსის პასუხისმგებლობა, განვამტკიცეთ შრომისა და სახელმწიფო დისციპლინა.

როგორც ყოველთვის, წლეულსაც სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდშია ის საექსპლოატაციო უბანი, რომელსაც კომუნისტი ბ. ჩაფიძე უდგას სათავეში. ამ უბნის კოლექტივმა ხუთწლედის ოთხი წლის დავალება ვადამდე განახორციელა და მალე წლევანდელი წლის იანვრის სახელმწიფო გეგმასაც შეასრულებს. შახტში განსაკუთრებით გამოირჩევიან ქვანახშირის მონგრევის ოსტატები მ. ვარდოსანიძე, ე. ჩაფიძე, გ. ციცქიშვილი, რ. ბოჭორიშვილი, ნ. კუპრაშვილი, გ. ვარდოსანიძე და სხვები. ისინი პირად მაგალითს იძლევიან ახალი შრომითი მიჯნების მიღწევისათვის, წარმოების ეფექტიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში.

მიღწეული ზღვარი როდია. არის რეზერვები ახალ, კიდევ უფრო დიდ წარმატებათა მოსაპოვებლად.

ჩვენი შრომითი კოლექტივი ყოველდღიურად იბრძვის იმისათვის, რომ შექმნას ყველა პირობა ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმის შესასრულებლად. შახტის კოლექტივს კიდევ უფრო დარაზმავს საქმეში დიდი დახმარება გაგვიწია ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მიერ პოლიტბიუროს სხდომაზე წარმოთქმული სიტყვის გულდასმით გაცნობამ.

ამ გამოსვლაში ნათლად არის ნაჩვენები არა მარტო ხუთწლედის განვლილ პერიოდში სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში მიღწეული წარმატებანი, არამედ მოცემულია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული მშენებლობის მორიგი ამოცანები ხუთწლედის მეხუთე, დამაგვირგვინებელი წლისათვის, განსაზღვრულია თითოეული საბჭოთა ადამიანის როლი ამ ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში.

ჩვენ შეგნებული გვაქვს ჩვენი ადგილი ამ ამოცანათა განხორციელებაში. ამიტომ შახტის კოლექტივის მთელი ძალა და ენერგია მოხმარდება ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებებისა და მოთხოვნების შესრულებას.

ერთხელ კიდევ გულდასმით ავწონ-დავწონეთ წარმოების შიდა რეზერვები, გამოვნახეთ დამატებითი შესაძლებლობანი ქვანახშირის ამოღების გადიდებისათვის.

წლის პირველი შრომითი დღეები დაიწყო ჩვენს კოლექტივში. მშრომელებმა 1985 წლის პირველ დღეებში დიდძალი ზეგეგმითი ქვანახშირი მოანგრიეს.

დღეს ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ქვანახშირის ამოღების მიმდინარე წლის სახელმწიფო გეგმა გადაჭარბებით შევასრულოთ, წარმატებით შევხვდეთ სკკპ XXVII ყრილობას.

ვ. წაქაძე,
ქ. ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის დირექტორი.



თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის „ჩარხმშენებლის" საწარმოო გაერთიანების № 19 მექანიკური საამქროს მუშა მანანა დუდაროვა ერთ-ერთი საუკეთესო კბილანების მომრგვალებელია. იგი წარმოებას მოუწყვეტლივ სწავლობს თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის III კურსზე.
სურათზე: მანანა დუდაროვა.

ა. საკოევის ფოტო.

საქართველოს ახალმშენებლობანი

შედგენილია საქართველოს სსრ 1985 წლის ახალ მშენებლობათა რუკა. საქინფორმის კორესპონდენტის **ა. კოკაიას** თხოვნით მას განმარტავს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ბ. ნ. შანიძე.**

— კაპიტალური მშენებლობა, რომელიც უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის დარგების განუწყვეტელ განახლებას, მთელი სოციალისტური ეკონომიკის წარმატებული განვითარების საწინდარია. მეთერთმეტე ხუთწლედი რესპუბლიკაში ახალმშენებლობათა ხუთწლედია. ამ პერიოდში მოხდა მტკიცე შემობრუნება სამშენებლო წარმოების ინტენსიფიკაციისა და დახარჯულ სახსრებთან შედარებით საბოლოო შედეგების ზრდის უპირატესი ტემპის უზრუნველყოფისაკენ. შემცირდა დაუმთავრებელი მშენებლობის დონე, გაიზარდა მოქმედ საწარმოთა ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციის მოცულობა. მიმდინარე წელს დავამკვიდრებთ და განვავითარებთ ამ და სხვა დადებითს ტენდენციებს.

კაპიტალურ დაბანდებათა განაწილების დროს უწინარესად ვითვალისწინებთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მოთხოვნილებებს, ამასთან განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ გეგმის სოციალურ მიმართულებას. მომავალი სამუშაოების მასშტაბს თვალნათლივ მოწმობს საქართველოს 1985 წლის უმნიშვნელოვანეს მშენებლობათა რუკა. პირობითი აღნიშვნები ცხადყოფს, რომ უპირატესობა ენიჭება ინდუსტრიის იმ დარგებს, რომლებიც განსაზღვრავს მთელი სახალხო მეურნეობის მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, ხელს უწყობს საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

ენერგეტიკა იყო და არის სახალხო მეურნეობის მამოძრავებელი ძალა. მეთერთმეტე ხუთწლედი სსრ კავშირის ენერგეტიკული პროგრამის რეალიზაციის პირველი ეტაპია. საქართველოში დამთავრდება ენგურისა და ჟინვალის კომპლექსების აგება. გრძელდება ხუდონისა და ვარციხის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა.

არსებითად გაიზრდება მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების მასშტაბი. სამუშაო ადგილების განახლება კაპიტალურ დაბანდებათა გამოყენების, მათი ნაზღაურობის ვადების შემცირების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ყველაზე ეფექტიანი გზაა. გაგრძელდება რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის, მადნეულის სამთო-მამდიდრებელი კომბინატის რეკონსტრუქცია.

მნიშვნელოვნად გაფართოვდება კვაისის მალაროთსამმართველო, ხოლო მის ბაზაზე — ახალი სამრეწველო ცენტრის მშენებლობა. საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმში" მწყობრში ჩადგება 125 ათასი ტონა პროდუქციის სიმძლავრის ახალი მაღაროები.

უპირველესი ტემპით განვითარდება ავტომობილ- და მანქანათმშენებლობა, ჩარხმშენებლობა. არსებითად გაიზრდება „ქუთაისის საავტომობილო ქარხნის" საწარმოო გაერთიანების და თბილისის „ელმავალმშენებლის" საწარმოო გაერთიანების, თბილისის „ჩარხმშენებლის" გაერთიანების სიმძლავრეები. დაიწყება ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის მშენებლობა.

რუსთავის „აზოტისა" და „ქიმბოჭკოს" საწარმოო გაერთიანებების რეკონსტრუქცია-გაფართოება შექმნის დამატებით ათასობით ტონა მინერალური სასუქების, კაპროლაქტამისა და კაპრონის ძაფის გამოშვების შესაძლებლობას.

დიდი ამოცანები აქვთ დასახული ტრანსპორტისა და გზის მშენებლებს. მათ საექსპლოატაციოდ უნდა გადასცენ თბილისის მეტროპოლიტენის ახალი სადგურები, როკის უღელტეხილის საავტომობილო გვირაბი, განაგრძონ მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის ლიანდაგების, თბილისცხაკაიას რკინიგზის მაგისტრალის მეორე ლიანდაგის დაგება. ამ ობიექტების ამოქმედება შექმნის შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავების, სამეურნეო ურთიერთობის გაფართოების შესაძლებლობას.

დიდია მშენებელთა წვლილი სასურსათო პროგრამის განხორციელებაში. მწყობრში ჩადგება მარნეულის პურპროდუქტების კომბინატი, ოზურგეთის სასათბურე კომბინატი, კონსერვის, ჩაის, ღვინის მრეწველობის მთელი რიგი საწარმოები. საექსპლოატაციოდ გადასცემენ კასპის მეფრინველეობის ფაბრიკის პირველ რიგს.

ფართო მოხმარების საქონლის წარმოების მოცულობის ზრდა უზრუნველყოფილი იქნება მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა ფილიალების მშენებლობის შედეგად, კერძოდ, რესპუბლიკის მთისა და მაღალი მთის რაიონებში.

პატარა ცნობაში ძნელია ეკონომიკის ყველა დარგის განვითარების დახასიათება. მინდა მხოლოდ აღვნიშნო, რომ მშენებელთა ყურადღების ცენტრშია ზრუნვა ადამიანისათვის, მისი კეთილდღეობისათვის. მოვიყვან მხოლოდ ერთ ციფრს: დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე აშენდება 1200 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სკოლების, სკოლამდელთა, სამედიცინო დაწესებულებების მშენებლობას. მნიშვნელოვნად განვითარდება მაღაზიების, სასადილოების, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მშენებლობა.

ამ დაძაბული გეგმების შესასრულებლად უნარიანად უნდა მოვაწყოთ წარმოება, სრულად გამოვიყენოთ შრომის მოწინავე მეთოდები. შემდგომ სრულყოფას მოითხოვს მოძრაობა მატერიალური და ენერგეტიკული რესურსების დაზოგვისათვის, უნდა განმტკიცდეს საწარმოო დისციპლინა მშენებელთა კოლექტივებში.

საქმის გაუმჯობესებას უდავოდ შეუწყობს ხელს „კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვის, ორგანიზაციისა და მართვის გაუმჯობესების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა სრული მოცულობით შესრულება, მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებასთან, შემდგომ ინდუსტრიალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს წინადადებათა რეალიზაცია.

ახლა დაგეგმვის ხარისხს უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებენ, ვიდრე ოდესმე. ჩვენ ვილვწით მისი შეწონასწორებისათვის, ვემზადებით, კერძოდ, იმისათვის, რომ მიმდინარე წელს გადავიდეთ საცხოვრებელი სახლების მშენებლობის უწყვეტ ორწლიან დაგეგმვაზე.

დამკვრელური გახადონ ხუთწლედის დამამთავრებელი წელი, უზრუნველყონ ყველა დაგეგმილი ობიექტის საექსპლოატაციოდ გადაცემა — ასეთი ამოცანა დაისახეს მიზნად საქართველოს მშენებლებმა, რათა ღირსეულად შეხვდნენ ჩვენი ქვეყნის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას.

(საქინფორმი).



დამკვრელურ წელს — დამკვრელური შრომა

ქალაქ ზუგდიდის მშრომელთა 1985 წლის სოციალისტური ვალდებულებანი

რაიონის მშრომელებმა, რომლებიც პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ეგებებიან პარტიის XXVII ყრილობას, დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავს, სტახანოვური მოძრაობის 50 წლისთავს 1985 წლისათვის კისრულობენ შემდეგ სოციალისტურ ვალდებულებებს:

სამრეწველო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა გაანაღდონ ვადამდე 27 დეკემბრისათვის. უზრუნველყონ სამრეწველო წარმოების ზეგეგმითი ზრდა 1,2 პროცენტით. დამატებით აწარმოონ 2100 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია.

გეგმის გადამეტებით გამოუშვან ქაღალდი — 100 ტონა, მუყაო — 200 ტონა, პურსაკონდიტრო ნაწარმი — 15 ათასი მანეთის, კონსერვი — 250 ათასი პირობითი ქილა, უალკოჰოლო სასმელები — 10 ათასი მანეთის, შავი ბაიხაო ჩაი — 200 ტონა, აგურა ჩაი — 700 ტონა.

წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, პროგრესული ტექნოლოგიისა და მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვით, შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებით შრომის ნაყოფიერების ზრდის წლიური დავალება გაანაღდონ 1,2 პროცენტის გადაჭარბებით. უზრუნველყონ პროდუქციის თვითღირებულების გეგმის გადაჭარბებით შემცირება 0,5 პროცენტით. შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით მიიღონ სამრეწველო პროდუქციის მატების 90 პროცენტი. 3 პროცენტით შეამცირონ ხელის შრომის დონე. მიაღწიონ სამუშაო დროის დანაკარგების არანაკლებ 50 პროცენტით შემცირებას. ყოველმხრივ გაავრცელონ მოწინავე კოლექტივების ინიციატივა და უზრუნველყონ დაზოგილი ნედლეულით, მატერიალური, სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით საწარმოთა მუშაობა 2 დღის განმავლობაში.

საიჯარო სამუშაოთა წლიური გეგმა გაანაღდონ ვადამდე, 28 დეკემბრისათვის, გეგმის გადაჭარბებით შეასრულონ 200 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, ასამოქმედებელი ობიექტების 80 პროცენტი ჩააბარონ „კარგი" და „ფრიადი" შეფასებით.

მოსახლეობას გეგმის გადაჭარბებით მიჰყიდიან 300 ათასი მანეთის სამრეწველო და სასურსათო საქონელს, გაუწევენ 35 ათასი მანეთის მომსახურებას.

უზრუნველყოფილ იქნება მოზარდების, ომისა და შრომის ინვალიდების 100 პროცენტით დისპანსერიზაცია.

გადაჭარბებით მომზადდება 100 მშთ ნიშნოსანი, 5 პირველთანრიგოსანი, 2 სპორტის ოსტატობის კანდიდატი.

სოციალისტური ვალდებულებები განხილული და დამტკიცებულია ქალაქის შრომითი კოლექტივების კრებებზე.

„კომუნისტის" დღეს ნომერში:

- ასახელებენ ღირსეულთ (II გვ.).
- საერთაშორისო ცხოვრების ამბები (II გვ.).
- კულტურის ქომაგი — ერის ქომაგია (III გვ.).
- ქართველი ბიზანტოლოგი საბერძნეთში (III გვ.).
- საქართველო — 1984: მთიანი რაიონის მიღწევები (IV გვ.).
- კანონი ფიქციური ქორწინების წინააღმდეგ (IV გვ.).

სრული, ერთსულოვანი მხარდაჭერა

ყაირაყუმის საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების არჩევნებისწინა თათბირზე გამოვიდა ყაირაყუმის ვ. ი. ლენინის სახელობის ხალიჩის გაერთიანების მთავარი ინჟინრის მოადგილე ს. გაფუროვი. მან თქვა, რომ ამ საწარმოს მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე მ. ს. სოლომენცევი და გაერთიანების მქსოველი ბ. ო. ყურბანოვა.

თათბირის მონაწილეებმა მიხეილ სერგის ძე სოლომენცევს და ბაშორათ ოდილის ასულ ყურბანოვას სთხოვეს დათანხმდნენ კენჭი იყარონ ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად ყაირაყუმის საარჩევნო ოლქში.

გაიმართა ერევნის ღარიბჯანიანის საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების საოლქო არჩევნებისწინა თათბირი. ერევნის საბურავების ქარხნის ავტოსაბურავების ამწყობმა ვ. ვ. პეპანიანმა თქვა, რომ საწარმოს კოლექტივმა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და ავტოსაბურავების ამწყობი ს. ხ. ტონოიანი. ორატორმა შეკრებილთ მოუწოდა მხარი დაუჭირონ ამ კანდიდატურებს..

თათბირის მონაწილეებმა გადაწყვიტეს სთხოვონ ანდრია ანდრიას ძე გრომიკოს და სამსონ ხაჩატურის ძე ტონოიანს დათანხმდნენ კენჭი იყარონ სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად ერევნის ღარიბჯანიანის საარჩევნო ოლქში.

ჩარჯოუს რაიონის კოლმეურნეობა „ლენინგრადში" გაიმართა თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ამუდარიის საარჩევნო ოლქის შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა არჩევნებისწინა თათბირი. მექანიზატორმა კ. პ. ჯორაევმა თქვა, რომ მეურნეობის კოლექტივმა გადაწყვიტა თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელოს ამხანაგი კ. უ. ჩერნენკო და კოლმეურნეობის მებამბეთა ბრიგადის ბრიგადირი ტ. იმამოვა.

საოლქო თათბირის მონაწილეებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი ამ წინადადებას და კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს და ტაშიბიბი იმამოვას სთხოვეს დათანხმდნენ კენჭი იყარონ თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად ამუდარიის საარჩევნო ოლქში.

• • •

საოლქო არჩევნებისწინა თათბირზე მიიღეს მიმართვები ამომრჩევლებისადმი. (საქდესი).

საქართველოს კომპარტიის ქალაქ თბილისის გლდანის რაიკომის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ქალაქ თბილისის გლდანის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პარტიის გლდანის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. ა. თ. გოცირიძე, რომელიც პარტიის ამავე რაიკომის მეორე მდივნად მუშაობდა.

პარტიის გლდანის რაიკომის მეორე მდივნად და ბიუროს წევრად არჩეულია ამხ. გ. ე. ქათამაძე, რომელიც პარტიის ქალაქ თბილისის საქარხნო რაიკომის მდივნად მუშაობდა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. გ. დ. გაბუნიამ. (საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა გაათავისუფლა ამხ. ი. ვ. გურგენიძე პარტიის ბორჯომის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საქართველოს სს რესპუბლიკაში სამელიორაციო მშენებლობის მთავარი სამმართველოს — საქმთავარწყალმშენის უფროსის პირველ მოადგილედ მის გადაყვანასთან დაკავშირებით.

პარტიის ბორჯომის რაიკომის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად არჩეულია ამხ. თ. პ. პეტრიაშვილი, რომელიც მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ინსტრუქტორად.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ჯ. ი. პატიაშვილმა. (საქინფორმი).

1985
24
თებერვალი
საბჭოების არჩევნების დღე

ხალხის რჩეულნი

(დასასრული)

— № 252 თერჯოლის საარჩევნო ოლქში, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დირექტორი პანტიკო შალვას ძე თორდია — ქალაქ თბილისის საქარხნო რაიონის № 88 ჰიდრომშენებელთა საარჩევნო ოლქში, ქედის რაიონის სოფელ ზვარეს კოლმეურნეობის მეთამბაქოე მანანა ხუხნის ასული დიასამიძე — ქედის რაიონის № 425 ცხმორისის საარჩევნო ოლქში.

მშრომელთა არჩევნებისწინა კრებებზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს: ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ავლიპ დავითის ძე ზურაბაშვილი — სიღნაღის რაიონის № 208 მაღაროს საარჩევნო ოლქში, მცხეთის ქარხანა „მრეწვკავშირის" ამწყობ-მემონტაჟე მარიამ დურმიშხანის ასული ირემაშვილი — № 98 მცხეთის საარჩევნო ოლქში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილების გამგე ბორის ზაქარიას ძე ბარსუკოვი — სოხუმის რაიონის № 383 ბესლეთის საარჩევნო ოლქში, განთიადის მერძევეობა-მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა ლილი შალვას ასული დაუთაშვილი — დმანისის რაიონის № 152 განთიადის საარჩევნო ოლქში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნოდარ შალვას ძე ჯანბერიძე — ქალაქ ქუთაისის № 257 ავტოქარხნის საარჩევნო ოლქში, რატევნის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა ვენერა სიმონის ასული ახაიძე — № 162 ბოლნისის საარჩევნო ოლქში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მსუბუქი მრეწველობისა და სახალხო მოხმარების საქონლის განყოფილების გამგე ოთარ მიხეილის ძე ივანაშვილი — ზესტაფონის რაიონის № 239 ძირულის საარჩევნო ოლქში, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ნინიგორის კოლმეურნეობა „მეგობრობის" კოლმეურნე მარიამ პავლეს ასული შარიქაძე — № 214 ვარდისუბნის საარჩევნო ოლქში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თავდაცვითი მრეწველობის განყოფილების გამგე ტარიელ ვლადიმერის ძე ლორთქიფანიძე — ქალაქ ზუგდიდის № 329 ლენინის საარჩევნო ოლქში, ფარცხანაყანევის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა ლია ვასილის ასული მაისაძე — ქალაქ წყალტუბოს № 275 ქვიტირის საარჩევნო ოლქში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობის განყოფილების გამგე ზეგლარ დიმიტრის ძე მახარაშვილი — ქალაქ რუსთავის № 175 მშენებელთა საარჩევნო ოლქში, კუშჩის მერძევეობა-მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა ალუნიკ იგნატოსის ასული ბაბოიანი — წალკის რაიონის № 157 ედიქილისის საარჩევნო ოლქში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების გამგე ლევან იოსების ძე მგალობლიშვილი—ქალაქ თბილისის საბურთალოს რაიონის № 62 დოლიძის საარჩევნო ოლქში, მერკულის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიე მარიამ გიორგის ასული აკაბა — ოჩამჩირის რაიონის № 391 მოქვის საარჩევნო ოლქში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ეკონომიკური განყოფილების გამგე ლეო იასონის ძე ხაბურზანია — სამტრედიის რაიონის № 293 ენგელსის საარჩევნო ოლქში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე პეტრე პეტრეს ძე ჩხეიძე — ქალაქ ბათუმის №403 სტალინის საარჩევნო ოლქში, კვაისის ტყვია-თუთიის მაღაროთსამმართველოს სამთო საამქროს პაბურღილების მბურღავი პავლე ალექსანდრეს ძე ნანიევი — ჯავის რაიონის № 436 კვაისის საარჩევნო ოლქში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველი თენგიზ იოსების ძე ხელაშვილი — თეთრი წყაროს რაიონის № 161 ასურეთის საარჩევნო ოლქში, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ვილენ ისიდორეს ძე ალავიძე — ქალაქ სოხუმის № 359 კალინინის საარჩევნო ოლქში, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სასწავლო-საცდელი მეურნეობის „ეშერის" მუშა ხლიმა თამშიგის ასული კუბრავა — სოხუმის რაიონის № 381 ეშერის საარჩევნო ოლქში, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი გურამ იაგორის ძე ჩიგოგიძე — № 411 ქობულეთის საარჩევნო ოლქში, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ეთერ სამსონის ასული ცირამუა — № 346 ხაბუმის საარჩევნო ოლქში, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე თამარ შალვას ასული კაბულოვა — № 435 ჯავის საარჩევნო ოლქში.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა შორის არიან გუდაუთის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ციცინა რაუდენის ასული მაცაბერიძე — № 376 ბარმიშის საარჩევნო ოლქში, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ზინაიდა არსენის ასული კვაჟაძე — № 193 გურჯაანის საარჩევნო ოლქში, სოფელ ბოგდანოვკის კოლმეურნეობა-კომპლექსის ტრაქტორისტი ხაჩატურ მარლენის ძე ხაჩატრიანი — ბოგდანოვკის რაიონის №149 განძის საარჩევნო ოლქში, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი კონსტანტინე ვახტანგის ძე კაპანაძე — ქალაქ თბილისის საქარხნო რაიონის № 84 მელიორატორთა საარჩევნო ოლქში, თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის ამწყობი ზეინკალი ბორის ვლადიმერის ძე ბურაკოვი — ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიონის № 35 ხეთაგუროვის საარჩევნო ოლქში, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ჯემალ რაფიელის ძე კუხალაშვილი — ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის № 10 ღრმაღელის საარჩევნო ოლქში, ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის ქაღალდის საამქროს მუშა ლეილა ნიკოლოზის ასული ჯომიდავა — ქალაქ ზუგდიდის № 331 კიროვის საარჩევნო ოლქში, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე აკაკი გრიგოლის ძე კარანაძე — ლაგოდეხის რაიონის № 216 აფენის საარჩევნო ოლქში, ხანჯარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა ბაბუცა ისიდორეს ასული ლუხუტაშვილი — ამბროლაურის რაიონის № 282 ჰრებალოს საარჩევნო ოლქში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ვაჟა მიხეილის ძე ოკუჯავა — ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის № 52 ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქში, ქუთაისის ლითოფონის ქარხნის მეაპარატე ვალენტინა ნიკოლოზის ასული კოსტარევა— ქალაქ ქუთაისის № 270 ძერჟინსკის საარჩევნო ოლქში, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი თეიმურაზ ნიკოლოზის ძე ლოლაძე — ქალაქ თბილისის საბურთალოს რაიონის № 61 სააკაძის საარჩევნო ოლქში, ქალაქ გაგრის ზონის სოფელ სალმეს კოლმეურნეობა „მეგობრობის" წევრი მაიმა ვიქტორის ასული მალვი — №372 ბაღნარის საარჩევნო ოლქში, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლუდვიგ აქვსენტის ძე ღურწკაია — თელავის რაიონის № 225 კურდღელაურის საარჩევნო ოლქში, მახარაძის რაიონის სოფელ ბაილეთის კოლმეურნეობა „უკრაინის" აგროქიმიკოსი ცირა ტიტეს ასული პაპავა — № 314 ნასაკირალის საარჩევნო ოლქში, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილე ავიაციის დარგში იგორ ევგენის ძე ბურავკოვი — ქალაქ რუსთავის № 179 7 ოქტომბრის საარჩევნო ოლქში, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის სამტრედიის № 25 მოძრავი მექანიზებული კოლონის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი დავით სიმონის ძე ბადლაძე — სამტრედიის რაიონის № 293 მარქსის საარჩევნო ოლქში, ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი მერი ლუარსაბის ასული მდივანი — გარდაბნის რაიონის № 91 დიდი ლილოს საარჩევნო ოლქში, გორის რაიონის სოფელ ტყვიავის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე რობინზონ ნიკოლოზის ძე ჩიხლაძე — № 110 ტყვიავის საარჩევნო ოლქში. (საქინფორმი).

თემატიკა

მოხსენებების, ლექციებისა და საუბრებისა, რომლებიც დაკავშირებულია ჟურნალ „კომუნისტში" გამოქვეყნებულ ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სტატიასთან „განვითარებული სოციალიზმის მოთხოვნების დონეზე"

განვითარებული სოციალიზმის მარქსისტულ-ლენინური კონცეფცია თანამედროვე ეტაპზე პარტიის თეორიული აზროვნების თვალსაჩინო მიღწევა, მისი სტრატეგიისა და ტაქტიკის საფუძველია. განვითარებული სოციალიზმი აუცილებელი, ისტორიულად ხანგრძლივი ეტაპია კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე.

სოციალისტური იდეალი და რეალური სოციალიზმი.

ძირეული გარდატეხა სახალხო მეურნეობის ინტენსიფიკაციაში საკვანძო ამოცანაა.

ქვეყნის საწარმოო ძალების თვისებრივი გარდაქმნა დროის მოთხოვნაა.

საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის დიალექტიკა განვითარებული სოციალიზმის პირობებში.

პარტიის ღონისძიებანი თანამედროვე ეტაპზე წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფის პროცესის გაშლისათვის.

პროგრამული დანიშნულების ამოცანა: უზრუნველვყოთ შრომის ნაყოფიერების უმაღლეს მსოფლიო დონეზე ქვეყნის გაყვანა.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

საბჭოთა საზოგადოების ეკონომიკური, სოციალური, სულიერი პროგრესის ერთიანობა განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე.

„თითოეულისაგან უნარის მიხედვით, თითოეულს — შრომის მიხედვით" სოციალიზმის ძირითადი პრინციპია.

შრომა სოციალიზმის დროს საზოგადოებრივი დოვლათის, ყველა მშრომელის კეთილდღეობის წყაროა.

უკეთ რომ ვიცხოვროთ, უკეთ უნდა ვიმუშაოთ.

განმანაწილებელი ურთიერთობის სრულყოფის აქტუალური საკითხები განვითარებული სოციალიზმის პირობებში.

სოციალური სამართლიანობა სოციალიზმისათვის დამახასიათებელი საზოგადოებრივი ურთიერთობის პრინციპია.

უკლასო საზოგადოების აშენება პარტიის პოლიტიკის პრაქტიკული ამოცანაა განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე.

ხალხის სოციალისტური თვითმმართველობა საზოგადოებისა და სახელმწიფო საქმეების მართვის დემოკრატიული სისტემაა.

ერების აყვავება და დაახლოება განვითარებული სოციალიზმის პირობებში.

პიროვნების ყოველმხრივი განვითარება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უმაღლესი მიზანია.

ცხოვრების სოციალისტური წესის სულიერი, მორალური ღირებულებები.

იდეოლოგიური მუშაობა მასებთან პარტიის კავშირის განმტკიცების ქმედითი ინსტრუმენტია.

პარტიის ხელმძღვანელი როლის გაძლიერება და სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავება ერთიანი, მთლიანი, კანონზომიერი პროცესია.

ყველგან და თანამიმდევრულად განვამტკიცოთ მუშაობის ლენინური სტილი.

მასების დარწმუნება, ორგანიზაცია, აღზრდა პარტიული ხელმძღვანელობის მეთოდებია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საკადრო პოლიტიკის აქტუალური საკითხები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდება პარტიის ცხოვრების კანონია.

მწვავე სიგნალი

ვაგონები კი კვლავ ცდება...

ბასული წლის დამლევისათვის რესპუბლიკის საწარმოების, მშენებლობების მისასვლელ გზებზე თითქმის აღარ იყო გადმოუტვირთავი ვაგონები, რკინიგზელები ზუსტად გრაფიკის მიხედვით მუშაობდნენ, არ იყო შეფერხება არც სახალხო-სამეურნეო ტვირთის მიწოდებაში. მაგრამ... გავიდა ახალი წლის ხუთი დღე, და იგივე მისასვლელ გზებზე თავი მოიყარა 500-ზე მეტმა ვაგონმა, რომელთა შორის ბევრია სათბობიანი ცისტერნა. ისევ შეიპყრო „ციებ-ცხელებამ" ამიერკავკასიის რკინიგზა, ისევ მოდის შეკითხვები, დეპეშები, ტელეფონოგრამები: რატომ ყოვნდება პროდუქცია ბაზებში, საწყობებში, ღია ცის ქვეშ, რატომ ფუჭდება, გამოდის მწყობრიდან, რატომ ფერხდება სათბობის მიწოდება; სათბობიანი ცისტერნები ხომ ყველგან საჭიროა.

უცნაურ სურათს ნახავთ ამ დღეებში რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. წლის დამდეგიდან აქ ცდება 86 მაზუთიანი ცისტერნა. ცისტერნებით არის სავსე ყველა გზა ლილოს ხილბოსტნეულის ბაზაზე, მარნეულის კონსერვების ქარხანაში, სხვა ობიექტებზე.

ან კიდევ ერთი მაგალითი. რესპუბლიკის მშენებლებს საბაბი ჰქონდათ გახარებული ყოფილიყვნენ: სამშენებლო მოედნებზე მოვიდა ცემენტი, სხვა საშენი მასალებით დატვირთული ვაგონები. შეიძლება დამკვრელური ტემპით წლის დაწყება. მაგრამ, სამწუხაროდ, რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტრომ თვითონ შექმნა წინააღმდეგობა ამ გზაზე: საშენი მასალებით სავსე 53 ვაგონი დღემდე არ გადმოუტვირთავთ.

მოუთმენლად ელოდნენ ბათუმში ხაშურის მინის ტარის ქარხნის პროდუქციას. ვაგონები მოვიდა, მაგრამ მათში დამსხვრეული მინა აღმოჩნდა. რა თქმა უნდა, მას არ იღებენ, და ვაგონები ცდება... სასამართლოს გადაწყვეტილების მოლოდინში. საგამოძიებო ორგანოებმა უნდა გადაწყვიტონ, ვინ არის მართალი და ვინ დამნაშავე —მიმწოდებლები თუ რკინიგზელები, მაგრამ თვითონ ეს ფაქტი სახელმწიფო ქონებისადმი ზოგიერთი ვაიხელმძღვანელის უპასუხისმგებლო დამოკიდებულების დადასტურებაა. რესპუბლიკის კვების მრეწველობის სამინისტრომ დიდი ხანია უნდა გადაწყვიტოს მინის ტარის, სხვა პროდუქციის სპეციალური პაკეტებით და არა შეუფუთავად გადაზიდვის საკითხი.

25 გადმოუტვირთავი ვაგონი დგას ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალ ობიექტებზე. 21 — საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს, 10 — სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის სისტემის ობიექტებზე, 20 — გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხანაში, 10 — რუსთავის ქიმიურ ქარხანაში, 8— ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში, მათ შეხვედებით ცხაკაიაში და ვაზიანში, დუშეთსა და გორში, ზუგდიდსა და ფოთში... ეს არის ლითონით, სათბობით, სურსათით, მინერალური სასუქებით, მაკომპლექტებელი ნაწარმით დატვირთული ვაგონები...

ვაგონები კვლავ ცდება. მათი გადმოტვირთვისათვის ღამის მუშაობა სამუშაო დროის 14 პროცენტს არ აღემატება, შაბათ-კვირას გადმოტვირთვის ოპერაციებს საერთოდ არ აწარმოებენ. ამას ბოლო უნდა მოეღოს; საწარმოებისა და მშენებლობების ხელმძღვანელებმა ნათლად უნდა შეიგნონ, რომ ვაგონების გადმოტვირთვის დაყოვნების ყოველი ფაქტი ზარალს აყენებს არა მარტო კონკრეტული შრომითი კოლექტივების სამეურნეოანგარიშებრივ ინტერესებს, არამედ მთლიანად რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას. (საქინფორმი).

უცხოეთში

ჟურნალისტი იუწყება

5 იანვარი ▬ საქდესი იუწყება

მოძავლის რწმენით დაიწყო სოციალიზმის სამყარომ ახალი, 1985 წელი. სოციალისტურ ქვეყნებს სრულიად საფუძვლიანად მიაჩნიათ იგი კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნიშანსვეტად ისტორიულ გზაზე, რომელსაც დასაბამი მისცა დიდმა ოქტომბერმა.

სოციალისტური ქვეყნების ხალხებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი წარმატებით დაამთავრონ მიმდინარე ხუთწლედი და მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ შემდგომ წინსვლას წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, სახალხო მეურნეობის განვითარების ინტენსიფიკაციის გზაზე. საქმე ეხება 2000 წლამდე გათვალისწინებული მასშტაბური გრძელვადიანი ამოცანების გადაწყვეტას, ამასთან უნდა გამოვიყენოთ ყოველივე ის, რასაც ადამიანს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია აძლევს.

ამ მართლაც გრანდიოზული აღმშენებლობითი გეგმების განხორციელებისათვის საბჭოთა კავშირს, ისევე როგორც ყველა სხვა სოციალისტურ ქვეყანას, სჭირდება მშვიდობა. ეს სოციალიზმის პრინციპული ხაზია, რომელიც არ არის დამოკიდებული არავითარ პოლიტიკურ კონიუნქტურაზე, სოციალისტურ ქვეყნებს სურთ იცხოვრონ მშვიდობიანად ყველა ქვეყანასთან, განახორციელონ სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური სისტემის სახელმწიფოებთან მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები. დაიწყეს რა 1985 წელი, როცა სრულდება 40 წელი გამარჯვების დღიდან, ისინი მოგვაგონებენ ისტორიულ გამოცდილებას: ომის წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ მანამ, სანამ იგი არ დაწყებულა.

სწორედ ამას ისახავს მიზნად საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მიერ ბოლო დროს წამოყენებული ფართო მასშტაბის ინიციატივები და წინადადებები, რათა მსოფლიო გამოიყვანონ იმპერიალიზმის მიერ შექმნილი კონფრონტაციის ჩიხიდან. ამავე მიზანს ემსახურება საბჭოთა კავშირის წინადადება იმის შესახებ, რომ მოეწყოს შეერთებულ შტატებთან მოლაპარაკება საკითხთა მთელ კომპლექსზე, რომლებიც ეხება ბირთვულ და კოსმოსურ შეიარაღებას. საკითხს იმის თაობაზე, თუ სად და როდის უნდა მოეწყოს ასეთი მოლაპარაკება, განიხილავენ 7-8 იანვარს ჟენევაში ამხანაგ ა. ა. გრომიკოსა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჯ. შულცის შეხვედრაზე. საბჭოთა კავშირი ხეთი სახიფათო პროცესი თავიდან უნდა ავიცილოთ, სანამ იგი შეუქცევადი გახდება, და ამის განხორციელება არ უნდა გადავდოთ.

საბჭოთა კავშირმა წამოაყენა ღონისძიებათა კონკრეტული პროგრამა, რომელთა მიზანია სამუდამოდ აიკრძალოს ძალის გამოყენება კოსმოსში და კოსმოსიდან დედამიწის მიმართ, აგრეთვე დედამიწიდან კოსმოსში არსებული ობიექტების მიმართ. ჩვენმა ქვეყანამ წამოაყენა წინადადება აიკრძალოს და მოისპოს დამკვრელი კოსმოსური შეიარაღების მთელი კლასი, რთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ბოლო სესიაზე საბჭოთა კავშირის ინიციატივით თითქმის ერთხმად მიიღეს რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს გამორიცხონ კოსმოსი გამალებული შეიარაღების სფეროდან. ამ რეზოლუციის გამო კენჭისყრის დროს თავი შეიკავა მხოლოდ შეერთებულმა შტატებმა.

ვაშინგტონის ასეთმა პოზიციამ, აგრეთვე იმ ფაქტმა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არა მარტო პრესაში უწევს ფართო რეკლამას „კოსმოსურ ომებს", არამედ პრაქტიკულად

ჟენევის შეხვედრის წინ

მშვიდობიანი თანაარსებობა და არა კონფრონტაცია

ლმძღვანელობს იმით, რომ ეს უნდა იყოს სრულიად ახალი მოლაპარაკება, რომელმაც უნდა მოიცვას როგორც კოსმოსის მილიტარიზაციის თავიდან აცილების საკითხი, ისე ბირთვული შეიარაღების — სტრატეგიული და საშუალო სიშორის შეიარაღების საკითხები. ამასთან ეს საკითხები უნდა განიხილონ და გადაწყვიტონ ურთიერთკავშირით. ამავე დროს საკვანძო მნიშვნელობა აქვს გამალებული კოსმოსური შეიარაღების დაუშვებლობას. კოსმოსური სივრცის მილიტარიზაცია, თუ მას სამედო დაბრკოლებას არ შევუქმნით, ყველაფერს წაშლის, რისი მიღწევაც კი შევძელით აქამდე შეიარაღების შეზღუდვის დარგში, უბიძგებს გამალებულ შეიარაღებას სხვა მიმართულებით, მკვეთრად გააძლიერებს ბირთვული ომის საფრთხეს. ასემათ შორის კოსმოსური ბაზირების თანამგზავრსაწინააღმდეგო და რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები, ისევე როგორც მიწისზედა, საჰაერო და საზღვაო ბაზირების ყველა საშუალება, რომლებიც გათვალისწინებულია კოსმოსში ობიექტების გასანადგურებლად. ეს კონკრეტული წინადადებები პრაქტიკული საქმეებით არის განმტკიცებული. საბჭოთა კავშირმა ცალმხრივი წესით გამოაცხადა მორატორიუმი კოსმოსში თანამგზავრსაწინააღმდეგო იარაღის გატანაზე, სანამ ამერიკის შეერთებული შტატები და სხვა სახელმწიფოები ასევე მოიქცევიან.

საბჭოთა კონსტრუქციულ ინიციატივებს ფართოდ უჭერენ მხარს მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოები და ხალხები. გაემზადება ამ ომებისათვის, არ შეიძლება არ დაგვაფიქროს. ჟენევის შეხვედრის წარმატებისათვის საჭიროა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამჯერად დაიკავოს რეალისტური პოზიცია და ხელი აიღოს უსაფუძვლო ცდაზე, რომ კოსმოსის მილიტარიზაციის მეოხებით მიაღწევს სამხედრო უპირატესობას სსრ კავშირთან შედარებით და უზრუნველყოფს აგრესიის დაუსჯელობას.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, იგი ახალ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებაზე მიდის მტკიცე გადაწყვეტილებით — მიაღწიოს სერიოზულ ძვრას ომის საშიშროების შემცირების საქმეში, ურთიერთმისაღებ მორიგებას იმ ურთიერთდაკავშირებული საკითხების მთელი კომპლექსის გამო, რომლებიც ეხება ბირთვულ და კოსმოსურ შეიარაღებას. ჩვენი ქვეყანა მზად არის ყველაზე რადიკალური გადაწყვეტილებებისათვის, რომლებიც მოგვცემს წინსვლის შესაძლებლობას გამალებული შეიარაღების შეწყვეტისაკენ მიმავალ გზაზე.

თანამშრომლობის კანონით

● ანგოლა

ანგოლის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა შეუნელებელ ყურადღებას უთმობს ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას, უწინარეს ყოვლისა კი ბავშვთა შორის სამიშ დაავადებათა პროფილაქტიკას. ანგოლას ამ საქმეში დიდ დახმარებას უწევენ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების სპეციალისტები.

სურათზე: საბჭოთა ექიმი კიშინიოველი გ. მარკოვი და ანგოლელი ექიმები ჟინუ ჟოაო (მარცხნივ) და რენალდუ პიმენტალი (მარჯვნივ) ნორჩ პაციენტთა მიღების დროს.

● ინდოეთი

სახელგანთქმული რუსი ბალერინის ანა პავლოვას სახელი უწოდეს კლასიკური ბალეტის სკოლას, რომელიც უკვე მესამე წელია მოქმედებს დელიში საბჭოთა მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების სახლთან. აქ გამართულ საზეიმო საღამოზე მოსწავლეებმა სპეციალური პროგრამა წარმოადგინეს.

ნორჩ ბალერინებს გულთბილად მიესალმა სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი ო. ლეპეშინსკაია. მან უფროსი ჯგუფის მოსწავლეებს მორიგი კურსის დამთავრების მოწმობები გადასცა. (სურათზე ქვემოთ).

წინადადება მისცეს ჩინეთის მხარეს

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა

● ●

ჰანოი. ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის გაგზავნილ ნოტაში ჩინეთის მხარეს წინადადება მისცა უარი თქვან ორი ქვეყნის საზღვარზე ყოველგვარ შეიარაღებულ მოქმედებაზე ამა წლის 16 იანვრიდან 26 თებერვლამდე პერიოდში, რათა ვიეტნამისა და ჩინეთის საზღვრისპირა რაიონების მცხოვრებთ შესაძლებლობა მისცენ მშვიდობიან ვითარებაში შეხვდნენ ახალ წელს მთვარის კალენდრით.

ეს ინიციატივა, რომელსაც ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა იჩენს ვიეტნამსა და ჩინეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 35 წლისთავის წინ, აღნიშნულია დოკუმენტში, ნაკარნახევია ვიეტნამ-ჩინეთის ტრადიციული მეგობრობის თანამიმდევრული პატივისცემით და კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენისადმი მისწრაფებით, იგი შეესაბამება ორი ქვეყნის ხალხების ინტერესებს და სულისკვეთებას, მიზნად ისახავს საზღვარზე დაძაბულობის შენელებას და ხელს უწყობს ხელსაყრელი ატმოსფეროს შექმნას ორმხრივი ურთიერთობის პრობლემათა გადასაწყვეტად.

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო აგრეთვე გადაწყვეტილება, რომ საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით ჩინეთის მხარეს გადასცეს ჩინეთის სახელმწიფო რესპუბლიკის რამდენიმე მოქალაქე, რომლებიც ვიეტნამის ტერიტორიაზე შეიპყრეს.

● იაპონია

საშიში კურსის ფარვატერში

ტოკიო. იაპონიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ტეცუძო ფუვამ მკაცრად გააკრიტიკა ნაკასონეს კონსერვატიული მთავრობა იმის გამო, რომ ფარვატერში მიჰყვება ვაშინგტონის ადმინისტრაციის მშვიდობისათვის საშიშ სტრატეგიას. მან აღნიშნა, რომ ამგვარ კურსს შეიძლება მოჰყვეს იაპონია-ამერიკის სამხედრო ალიანსის შემდგომი გაძლიერება და, საბოლოო ანგარიშით, ამერიკის შეერთებული შტატების ბირთვულ პლაცდარმად იაპონიის გადაქცევა. იაპონიის კომპარტიის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ იაპონიის ტერიტორიაზე განლაგებული მრავალრიცხოვანი ამერიკული სამხედრო ბაზა იაპონიას უქმნის ბირთვულ კონფლიქტში ჩათრევის რეალურ საფრთხეს.

● აშშ

ამზადებენ შეიარაღებულ ჩარევას

სან-ფრანცისკო. რეიგანის ადმინისტრაციამ, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო ტერორიზმის პოლიტიკას, დაიწყო მასირებული მზადება სუვერენულ სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში უშუალო შეიარაღებული ჩარევისათვის.

როგორც ენ-ბი-სი ტელეკომპანია იუწყება, ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში გამალებით ხორციელდება დივერსიული ძალების მომზადების დიდი მასშტაბის პროგრამა. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე, ხაზგასმით აღნიშნა ტელეკომპანიამ, კომანდოსების რიცხვი მესამედით გაიზარდა. სულ კი ახლანდელი ადმინისტრაციის მმართველობის პირველი ოთხი წლის მანძილზე „ხანმოკლე, ბინძურ და მცირე ომებში" მონაწილეობისათვის მომზადება გაიარა 15 ათასმა ავაზაკმა.

სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ამ ტერორისტების განკარგულებაშია სხვადასხვა თანამედროვე სახეობის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა, მათ შორის სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავები და ვერტმფრენები, ბირთვული იარაღიც კი, რომელიც განკუთვნილია „აეროდრომებისა და სხვა დიდი ობიექტების მოსპობისათვის". კერძოდ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ამერიკის შეერთებული შტატების არმიის დივერსიული ქვეგანაყოფების შეიარაღებაში შედის „ზურგჩანთის" ტიპის 100 ატომური ბომბი.

ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებში, აღნიშნა შემდეგ ენ-ბი-სიმ, მიმდინარეობს წვრთნა დივერსანტთა 100-კაციანი სპეციალური ჯგუფების დედამიწის სხვადასხვა რაიონში გადასაყვანად ატომური წყალქვეშა ნავების გამოყენების დამუშავების მიზნით.

უკანასკნელ საათს

მოკლედ

ტელეტაიპის ლენტიდან

● ლონდონი. ბასხობრივი მოსპობის ახალი სახეობათა იარაღის შემუშავება უაღრესად საშიშია და მას მსოფლიო ბირთვული ხანძარი შეიძლება მოჰყვეს. უშიშროების ერთადერთი რეალური გზაა ბირთვული კონფრონტაციის დონის შემცირება. ეს განაცხადეს ლონდონში მიმდინარე საზოგადოებრივი ტრიბუნალის მონაწილეებმა, რომელიც მოაწყო „ბირთვული განიარაღების მომხრე იურისტთა" ორგანიზაციამ. ტრიბუნალში მონაწილეობენ მსოფლიოს ბევრი ქვეყნიდან, მათ შორის სსრ კავშირიდან ჩამოსული ცნობილი სამხედრო ექსპერტები და სამართლის დარგის სპეციალისტები.

● ბეირუთი. სულ უფრო იზრდება სახალხო წინააღმდეგობა ისრაელი აგრესორებისადმი ლიბანის ოკუპირებულ რაიონებში. მარტო წინა დღეღამის განმავლობაში პატრიოტებმა განახორციელეს ხუთი ოპერაცია დამპყრობლებისა და მათი დაქირავებულების წინააღმდეგ. ტირის ჩრდილოეთით მათ რაკეტები დაუშინეს ოკუპანტების საბრძოლო ტექნიკისა და ქვეითი ჯარების ქვეგანაყოფების თავმოყრის რაიონს, დიდი ზარალი მიაყენეს მათ. როგორც თვითმხილველნი ამბობენ, ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების ოთხმა ვერტმფრენმა მონაწილეობა მიიღო დახოცილი და დაჭრილი ჯარისკაცებისა და ოფიცრების ევაკუაციაში.

● ტრიპოლი. ლიბიის ჯანას საინფორმაციო სააგენტომ გადაჭრით დაგმო ამერიკის ადმინისტრაციის პროვოკაციული პოლიტიკა ნიკარაგუის რესპუბლიკის მიმართ. სუვერენული სახელმწიფოს მთავრობაზე ვაშინგტონის უხეში ზეგავლენის ცდები, აღნიშნულია კომენტარში, ხორციელდება იმპერიალიზმის საერთო სტრატეგიის ფარგლებში, რომლის მიზანია ცენტრალურ ამერიკასა და პლანეტის სხვა რაიონებში ბატონობის მიღწევა.

● ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატების ორგანიზებულ მუშათა მოძრაობაზე ფართო შეტევას, რომელიც გაშალეს ამერიკის მეწარმეებმა რეიგანის ადმინისტრაციის სრული მხარდაჭერით, მოჰყვა ქვეყნის პროფკავშირთა რიცხვის მკვეთრი შემცირება. როგორც ასოშეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, კლივლენდის უნივერსიტეტის პროფესორების ბრაიან ჰეშიზერისა და ჰარი გრემის მიერ მოწყობილი პროფკავშირულ ხელმძღვანელთა გამოკითხვის შედეგების დამოწმებით, მარტო 1980-1982 წლებში პროფკავშირთა რიცხვი 2 მილიონი კაცით, ანუ 10 პროცენტით შემცირდა. ოცი წლის წინათ, ხაზგასმით აღნიშნეს გამოკითხვის მონაწილეებმა, პროფკავშირთა წარმომადგენლებს უფრო მყარი პოზიციები ეკავათ მეწარმეებთან მოლაპარაკების დროს. ახლა კი მდგომარეობა შეიცვალა და ამის მთავარი მიზეზია ვაშინგტონის ახლანდელი ადმინისტრაციის ანტიმუშური პოლიტიკა.

გაზეთ „კომუნისტის" მივლინებით მწერალი, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი („ხუთწლედის მატიანე") მირონ ხერგიანი იყო სვანეთში. გთავაზობთ მის ნარკვევს.

კაიშის მოხატულობა

ვიდევ ერთი სასიამოვნო სიურპრიზით გაგვიმასპინძლდნენ სვანეთის ეკლესიები.

შარშან იყო და ამ ცასთან ახლოს მდებარე კუთხის საგანძური თავმოყრილი და პირველად გამოფენილი ვიხილეთ საქართველოს დედაქალაქში. ამჯერად კი დღემდე თითქოს ყველასაგან მივიწყებულმა კაიშის ეკლესიამ განახვნო თავისი ჭიშკარი და უხსოვარი დროიდან მის კედლებში მოკრძალებით განფენილ სულიერ სამყაროს, მის შინაგან ამაღლებულობასა და სილამაზეს

და რითაც დავიწყეთ ჩვენი საუბარი...

მართლაცდა, რა სიურპრიზზეა აქ ლაპარაკი?

და რაც მეტად მნიშვნელოვანია, ვინ არიან მისი შემოქმედნი?

როგორია კაიშისა და არა მარტო კაიშის, საერთოდაც სვანეთის ძეგლების რესტავრაცია-აღდგენის, აქაური უნიკალური ფრესკული მხატვრობის ნიმუშთა მეცნიერული კვლევა-ძიების ისტორია?

დავიწყოთ იქიდან, რომ ამ ბოლო დრომდე ეკლესიები, როგორც მთელ საქართველოში, აქაც მეტად სავალალო მდგომარეობაში იყო: ისინი, თუ შეიძლება ასე ითქვას, უყურადღებობისაგან სულსა ლაფავდნენ. ძეგლთა დაცვის სამმართველომ ყველაფერი იღონა მათი გადარჩენისათვის, და არა მარტო მათი, საერთოდ მთელი ჩვენი რესპუბლიკის მთასა და ბარში არსებული მრავალი სხვადასხვა დანიშნულების ძეგლის ხსნისათვის...

ავს სვანურად. შეიძლება „ფიქლისგორადაც" გავიგოთ ადგილის სახელწოდება, მაგრამ უფრო სავარაუდოა, რომ იქ ამავალი ფიქლოვანი ბილიკიდანაც მომდინარეობდეს და მისი ეტიმოლოგია ფიქლოვან საფეხურებსაც უკავშირდებოდეს.

რა თქმა უნდა, ეს ენათმეცნიერული ნიუანსები ამჯერად მთავარი არ გახლავთ, მთავარი არის ის სიურპრიზი, რომელიც კაიშის ეკლესიამ შემოგვთავაზა

— სვანეთის ჯგუფს ახალგაზრდა, მაგრამ საკმარისად გამოცდილი მხატვარ-რესტავრატორი მერაბ ბუჩუკური ხელმძღვანელობს.

სწორედ მერაბ ბუჩუკურის ჯგუფის საქმიანობასთანაა დაკავშირებული კაიშის ამბავიც.

მართლაც „ათი ფუთი მარილის" გარეშე შორს ვერ წავა სვანეთში ადამიანი, მით უფრო მეცნიერი-მკვლევარი და რესტავრატორი. ამ კუთხის ტრადიციუ-

ლეოდნენ მხატვარ-რესტავრატორები — არჩილ გელოვანი, გურამ ქვანია, მერაბ ტატიშვილი, გიორგი ხელაძე... ბოლო დროს ჯგუფს ლაშა სულაკაური შეუერთდა.

წარმოდგენილ რეკონსტრუქციულ ნამუშევრებში—ორიგინალის იდენტურ ასლებში მიკროსკოპული სიზუსტით, საოცარი სიფაქიზითა და დახვეწილობით არის ასახული კაიშის მთავარანგელოზის ეკლესიის „შინაგანი სულიერი სამყარო", ინტერიერის ფერების განუმეორებელი ბრწყინვალება, ბიბლიური სცენების მხატვრული გამომსახველობა, ხაზების ჰაეროვნება, დეკორული ფონის ორიგინალობა და საოცარი სინატიფე. ამ თვალსაზრისით კანონიკურ ჩარჩოებს სცილდება დასავლეთის კედელზე გამოსახული „ფერისცვალების სცენა", ასევე განუმეორებელია „სულიწმინდის მოფენის" ეპიზოდი. საგამოფენო დარბაზში მნახველთა ყურადღებას იპყრობს „წმინდა ეკტატეს ნა-

ტერესო ძეგლები რომ კალკაზე ცოცხლად აღბეჭდილი სახით ვეწყოს სეიფებსა და ზანდუკებში, არქივებსა და მუზეუმებში.

სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აიყვანა და ძეგლთა დაცვის სამმართველომ აღდგენითი და სარესტავრაციო სამუშაოები გააფართოვა, მრავალი ახალი პრობლემა დადგა დღის წესრიგში, და უნდა ითქვას, რომ ეს არის სასიამოვნო საკითხების რიგი — მაგალითად, როგორიცაა საექსპოზიციო-საგამოფენო დარბაზისა და, ზემოთ რომ აღვნიშნე, რეკონსტრუქციული ნიმუშების საგანგებო საცავის დაარსება. ამ ორი პრობლემის მოგვარებას ჩვენში სარესტავრაციო მუშაობის შემდგომი გაფართოებისა და წინსვლისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება...

აქვე წამოიჭრება ერთი დამაფიქრებელი კითხვა: — ხომ არ შეანელებს ჩვენი ეკლესიების

მირონ ხერგიანი.

პრემიერამ წარმატებით ჩაიარა

კინოსტუდია „ქართულ ფილმში" შექმნილი ახალი მხატვრული ფილმის „ზოგი ჭირი მარგებელია" პირველი მაყურებელი რიგელები გახდნენ. იგი აუდიტორიას წარუდგინეს ფილმის დამდგმელმა რეჟისორმა პ. ჩარკვიანმა და ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელმა ლ. ფილფანმა.

სცენარს საფუძვლად უდევს ქართული ლიტერატურის კლასიკოსის ვაჟა-ფშაველას მოთხრობები, რომლებმაც ფილმის შემქმნელებს საშუალება მისცა ეკრანზე გაეცოცხლებინათ გასული საუკუნის პატარა მთიანი სოფლის ცხოვრება და ყოფა, ნათლად გამოეხატათ მისი მცხოვრებლების სიკეთე და იუმორი. ფილმის ღირსებები აღნიშნეს ლატვიის კინემატოგრაფისტთა კავშირში გამართული შეხვედრის მონაწილეებმა.

ნოდარ ჯალაღონია

ციკლიდან: „ოდა თანამედროვეებს"

შვილნი სოფლისა

ვუძღვნი სამთავისელ ახალგაზრდებს, რომლებიც პასუხად პარტიის მოწოდებისა, ქალაქიდან დაბრუნდნენ თავიანთ სოფელში საცხოვრებლად და სამუშაოდ.

I

ქართველი და სოფელი არის განუყოფელი,
ჩვენში თვითონ ქვეყანას ჰქვია წუთისოფელი.

მაგრამ ქვეყნის სატკივარს ღამე ვინც გაუთია,
მისთვის წუთისოფელი განა მართლა წუთია.

დასცდენია ხანდახან ქართველს თუმც სამდურავიც.
არ ყოფილა არასდროს წუთისოფლის სტუმარი.

აშენებდა, აგებდა, სისხლით, ცრემლით, ოფლით და —
ვალმოხდილი წასულა ბოლოს ამა სოფლიდან.

მტერსაც თავის ცრემლით და თავის სისხლით ათრობდა,
მაგრამ თავით ცოცხალით თავის სოფელს არ თმობდა.

საქართველოს მიწიდან ზოგჯერ ძალით აყრილი,
ბორკილებშიც იბრძოდა ფარ-ხმალს მაინც არ ყრიდა.

მაინც სული უტეხი რწმენით დროშას არხევდა.
უცხო მიწას, უცხო წყალს, ქართულ სახელს არქმევდა.

დაეძებდა ქართულ ცას, ისპაჰანის იმ ცაზეც,
და ჩნდებოდა სოფლები ფერეიდნის მიწაზე:

ჩუღურეთი, რუსთავი, ვაშლოვანი, სიბათი,
მათი თვალის სინათლე, საქართველო იმათი.

ის უდე და ბოინი, ის ორივე მარტყოფი;
ღმერთო, იქაც გვიცოცხლე, იქაც კარგად ამყოფე.

ღმერთო, კარგად ამყოფე წარსულიც და წასულიც,
წინაპრები კვარცხლბეკზე დღეს ძეგლებად ასული.

რაკი საქართველოსთვის იცოცხლეს და იღვაწეს,
სამუდამო მასპინძლად დარჩნენ ქართულ მიწაზე.

II

დღეს რა ხდება, რა მოგვდის, ეს რა ცოდვა ტრიალებს.
ჩვენს ფუძეს და ჩვენს კერას თვითონ რომ ვატიალებთ.

ვინც გვიმტრო და გვიმუხთლა, ახლა თვითონ მტვერია.
მტერმა ველარ შეგვჭამა, წლები ვერ მოგვერია.

გიხმობთ დედასამშობლო, დედის თბილი მანდილი.
ზოგსაც დედის საფლავი, ზოგსაც დედა ადგილის.

ძვლები ჩვენი წინაპრის აქ მარხია, აქ ყრია,
როგორც ერთ დროს ერეკლეს, სოფელს ხალხი აკლია.

აქეთ, აქეთ, ბიჭებო! აქეთ უნდა უტიოთ.
თქვენი სოფლის იარებს ლამე უნდა უთიოთ.

აქეთ, თორემ საფლავებს შეუტია ბალახმა,
ხედავთ, ნასახლარებზე ვაზი როგორ გადახმა.

ხედავთ, როგორ ივსება უცხო ხმით და ფერებით:
ჩვენი ნასოფლარები, მთები, ჭალა, სერები.

აქეთ, თორემ გავთავდით, ჩვენი სიმწირ-სიმცირით,
დროშასავით დაჰკიდეთ სახლებს ბავშვის სიცილი.

აქეთ, აქეთ სოფლისკენ, სამცხესა თუ სამთავისს.
აქ, აქ არის სამშობლოს საწყისიც და სათავეც.

გაალაღეთ სოფელი თქვენი გოგო-ბიჭებით.
აქეთ; აქეთ გელიან, მამულს დღეს აქ სჭირდებით.

კომუნისტი — საქვეყნო საკითხავი

სცენაზეა ზღაპარი

თბილისის ა. ს. გრიბოედოვის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანმა სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის კოლექტივმა ზამთრის არდადეგების დღეებში ჩინებული საჩუქარი მიუძღვნა მოსწავლეებს: მან დადგა ე. შვარცის მუსიკალური ზღაპარი „კონკია".

სპექტაკლი დადგა ლ. ჯაშმა. სცენოგრაფია ეკუთვნის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ე. დონცოვას, მუსიკალურად გააფორმა რ. გევენიანმა, ქორეოგრაფია რესპუბლიკის სახალხო არტისტი ი. ზარეცკი. სპექტაკლში გამოყენებულია კომპოზიტორ ტ. ჯაიანის მიერ ზ. კვიჟინაძის ლექსებზე დაწერილი სიმღერები.

მთავარ როლებს ასრულებენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ბ. კაზინეცი, რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი ი. კვიჟინაძე, მსახიობები ი. მელვინეთუხუცესი, ტ. შოთაძე, შ. კონიუშენკო, ზ. ბოკოევა და დასის სხვა მსახიობები.

სურათზე: კონკია — მსახიობი ი. მელვინეთუხუცესი, მეფე — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ბ. კაზინეცი.
ვ. პეტროსიანის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სჯობს სახელისა მოხვეჭა...

ვენი სასტუმროს მეკვლეობა ამ ახალ წელს მეცნიერს მოუწია. იგი თავის დროზე ჩემი ლექტორიც გახლდათ — ანტიკური ლიტერატურის კურსს გვიკითხავდა. სტუდენტებზე დიდ შთაბეჭდილებას ტოვებდა ახლად უნივერსიტეტდამთავრებულის, ახალგაზრდა მეცნიერის ერუდიცია, საგნის ღრმად ცოდნა და თანდაყოლილი ტაქტი — ასე საჭირო ახალგაზრდებთან ურთიერთობისათვის.

ახლა ალექსანდრე ალექსიძე ორმოცდაშვიდი წლისაა. სამეცნიერო მოღვაწეობისათვის ეს ასაკი, დამეთანხმებით, ახალგაზრდულია, და მიუხედავად ამისა, ალექსანდრე ალექსიძე დღეს უკვე ქართული ელინისტური სკოლის ერთ-ერთ აღიარებულ წარ-

„ა. დ. ალექსიძის წიგნს არსებითი მნიშვნელობა აქვს ძველი რუსული ლიტერატურის ისტორიისათვის... დიდი მნიშვნელობა აქვს ლიტერატურის ისტორიის აგების თეორიული ასპექტების დამუშავებისათვის... სერიოზულ მასალას იძლევა „ბიზანტიური ლიტერატურის თეორიული ისტორიის" აგებისათვის. ა. დ. ალექსიძის მიდგომა იმით არის საგულისხმო, რომ ლიტერატურა მას უწინარესად მსოფლმხედველობად, მხატვრულ მსოფლმხედველობად მიაჩნია. ა. დ. ალექსიძის წიგნი დიდი საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის კალაპოტშია და მოლიდერე მოვლენათა პი-

მონოგრაფია ბერძნულ[...] ნილიყო".

ბერძნული სარაინ[...] ნის პრობლემები დი[...] იწვევს მსოფლიოს [...] სამეცნიერო ცენტრ[...] ქართველ მეცნიერს [...] ბით იწვევენ ამ საკ[...] ცია-მოხსენებებისათვი[...] 1976 წელს ათენში — [...] ლოგთა საერთაშორის[...] ზე, ვენაში — 1981 [...] ბერძნეთში, ლემნოს[...] ზე V ეგეოსურ სიმ[...] 1979 წელს და ა. შ[...] ამას მოჰყვა ლექციე[...] 1982 წელს საფრანგე[...] პუატიეს შუა საუკუნ[...] ლიზაციის საუნივე[...]

კლი საფრანგეთში — სტრასბურგის უნივერსიტეტში 1969-71 წლებში, როცა მსმენელებს აცნობდით ქართულ ცივილიზაციას, შემდეგ იყო რეჟისორ გურამ პატარაიას და ოპერატორ ირაკლი ონოფრიშვილის დოკუმენტური ფილმი „ათონის მატიანე", რომლის სცენარის ავტორი და კონ-

სრულიად საბერძნეთის მშვიდობის მომხრეთა კონგრესი, სხვათა შორის, საიუბილეო — ოცდამეათე. ათენში საბერძნეთის ყველა რეგიონიდან ჩამოვიდნენ დელეგაციები, აგრეთვე სტუმრები მსოფლიოს ოცი ქვეყნიდან. კონგრესს ესწრებოდა მშვიდობის

ვ. მაღლაკელიძე.

წლის მონაგარი

ქუთაისი

კარგა ხანია, რაც სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები №1 საამქროს უწოდებენ მუშათა სასადილოებს. და, მართლაც, მუშათა სასადილო დიდ როლს ასრულებს კოლექტივის შრომის ნაყოფიერების ზრდაში, ყოველმხრივ უწყობს ხელს მუშა-მოსამსახურეთა გუნება-განწყობილების გაუმჯობესებას. საბოლოო ანგარიშით, იგი თანამონაწილეა შრომითი წარმატებისა.

ყოველივე ეს კარგად ესმით ელექტრომექანიკურ ქარხანაში, რომლის კოლექტივი ხუთწლედის დავალებათა ვადამდე გადაჭარბებით შესრულებისათვის იბრძვის. ამ ბოლო ხანს იგი სისტემატურად იმარჯვებს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, სულ ახლახან კი სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე წარდგენილი იყო კოლექტივის მიერ გამოშვებული პროდუქცია, რომელმაც 30 მედალი დაიმსახურა, მათ შორის 2 ოქროსი და 18 ვერცხლისა.

წინასაახალწლო დღეებში აქ საზეიმოდ გაიხსნა ახალი მუშათა სასადილო, რომელიც 350 კაცს იტევს. მას აქვს კეთილმოწყობილი ნედლეულის დასამუშავებელი საამქროები და სათავსები.

მუშათა სასადილოს პროექტის ავტორია ქარხნის მთავარი არქიტექტორი გ. ასათიანი, მხატვრები — გ. იობიძე და ვ. მეძმარიაშვილი. სამშენებლო სამუშაოები მაღალკვალიფიციურად შეასრულა სარემონტო-სამშენებლო უბნის კოლექტივმა.

ქალაქის ერთ-ერთ ახალ მაგისტრალზე, კარლ მარქსის ქუჩაზე გაიხსნა რიგით მეშვიდე სატროლეიბუსო მარშრუტი, მისი სიგრძე 2,6 კილომეტრია. პიონერთა და მოსწავლეთა პარკიდან მარქსის ქუჩის ბოლომდე ახალ სატროლეიბუსო მარშრუტს ყოველდღიურად 8 ათასი მგზავრი გადაჰყავს.

ზესტაფონი

საავტომობილო ტრანსპორტისა და მოძრაობის ინტენსიურობის სწრაფი ტემპით ზრდამ, გარემოს დაცვის გადაუდებელმა ამოცანებმა დღის წესრიგში დააყენა ქ. ზესტაფონში მდინარე ყვირილაზე ახალი საავტომობილო ხიდის მშენებლობის აუცილებლობა. და აი, ახალი წლის წინა დღეს საექსპლოატაციოდ გადაეცა ლამაზი და მძლავრი ახალი ხიდი, რომელიც მნიშვნელოვნად განტვირთავს ქალაქს, დაზოგავს ძვირფას დროს და მაშასადამე, სახალხო-სამეურნეო დოვლათსაც.

ამ მოვლენასთან დაკავშირებით გამართულ მიტინგს ხსნის საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. გ. გ. გუმბარიძე. მან გულითადად მიულოცა რაიონის მშრომელებს საახალწლო საჩუქარი, აღნიშნა, ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საკავშირო ხიდმშენტრესტის № 108 ხიდმშენის სამმართველოს, მოსკოვის ბესკუდნიკოვის რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხნის, აგრეთვე ხიდის მშენებელი მუშების დიდი წვლილი ამ საუკეთესო ნაგებობის მშენებლობაში.

ახალ ხიდს დიდ სამამულო ომში გამარჯვების 40 წლისთავის აღსანიშნავად და ამ ომში დაღუპულ ზესტაფონელთა ხსოვნის უკვდავსაყოფად „გამარჯვების ხიდი" უწოდეს.

ხიდი გახსნა და წითელი ლენტი გადაჭრა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, რესპუბლიკის საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ზ. ჩხეიძემ, რომელმაც გზა დაულოცა ხიდზე პირველი გასვლის უფლების მქონე ახალდაქორწინებულებს და საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს.

„საბედნიერო" და „ვეტერანი"

ახალწლის წინა დღეებში კარგი საჩუქარი მიიღო ქალაქ ზესტაფონის ახალგაზრდობამ. აქ ლენინის ქუჩაზე საზეიმოდ გაიხსნა ახალდაქორწინებულთა მაღაზია „საბედნიერო", სადაც მათ საშუალება ექნებათ შეიძინონ სასურველი საქონელი.

ამ დღეს საბჭოთა კავშირის გმირის ალ. ბიბილაშვილის სახელობის ქუჩაზე მწყობრში ჩადგა აგრეთვე ომის მონაწილეებისათვის განკუთვნილი სპეციალიზებული მაღაზია „ვეტერანი".

დ. გედენიძე,
ჰ. შარიქაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ჩქაროსნული

საექსპრესო ხაზები

თბილისი-ქუთაისის მარშრუტზე აეროფლოტის ჩქაროსნული კონკურენტი გამოჩნდა. ამ ორი ქალაქის დამაკავშირებელი ჩქაროსნული ხაზი მაშინვე მოეწონათ და აღიარეს მგზავრებმა. ოთხი საათი და ცოტა მეტი სჭირდება კომფორტულ „იკარუსს", რათა გაიაროს 250 კილომეტრზე მეტი მანძილი. ეს თითქმის იმდენივეა, რამდენიც ავიამგზავრს სჭირდება, თანაც ამ დროში შედის აეროპორტში გამგზავრება, რეგისტრაცია, თვით ფრენა და გზა აეროპორტიდან დანიშნულების ადგილამდე. ამასთანავე რეისები ნებისმიერ ამინდში სრულდება.

სპეციალისტებმა გამოიანგარიშეს, რომ ახალი სახეობის მგზავრთა გადაყვანა მნიშვნელოვნად უფრო ეკონომიურია. ახლა თითოეულ რეისში საიჯარო ბრიგადის ყველა წევრი ზოგავს თითქმის 22 ლიტრ საწვავს. ეს ნიშნავს, რომ მისი წლიური ეკონომია — 32 ტონაზე მეტი — საშუალებას იძლევა წლის მანძილზე ხუთ დღეს დაზოგილი საწვავით იმუშაონ.

სურათებზე: მძღოლთა საიჯარო ბრიგადის ხელმძღვანელი თენგიზ მახნიაშვილი; წინ ქუთაისია.

ს. ედიშერაშვილის ფოტო,
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ალორძინება მხარისა

აღმასვლა მთებში

შეუძლებელია ადამიანი არ მოიხიბლოს ადიგენის რაიონის ბუნების მშვენიერებით. მარადმწვანე წიწვოვანი მცენარეებით დაფარული ცათაზიდული მთები, მის კალთებზე შეფენილი თვალწარმტაცი სოფლები გიზიდავს, გიხმობს და უნებლიე ფიქრებით გავსებს.

ზამთარია. ყინავს. თოვლის საბურველი მოსავს გარემოს. „კომუნისტის" მკითხველთა კონფერენციამდე კიდევ სამიოდე საათია. სასტუმროს ფანჯრიდან გავცქერი სივრცეს, თითქოს ყოველივე ჩვეულებრივია, აგურით ნაშენი სახლები, ლამაზი ღობეებით შემოფარგლული ეზოები, მთებში გაწოლილ მოყინულ გზებზე ფრთხილად მიმავალი მანქანები, საქმიანად მოფუსფუსე ადამიანები...

უეცრად მზერა მაღლობიდან სწრაფად მომქროლავმა ციგამ მიიპყრო. ერთ ციგას მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე... მოსრიალე ბავშვების სიხალისე და ონავრობა მეც მახალისებს და კარგ გუნებაზე მაყენებს.

რატომღაც სურვილი მიჩნდება, მეც ავიდე იმ მაღალ გორაზე.

...როცა ჰორიზონტს მაღლიდან გადავხედე, ჩემ წინ თვალწარმტაცი სივრცე გადაიშალა.

მაგონდება ამ დილით ნათქვამი რაიკომის პირველი მდივნის ჯემალ ნაკაშიძის სიტყვები: „ვცდილობთ ჩვენი რაიონის მშრომელთა ცხოვრება და საქმიანობა ისეთივე ლამაზი და მიმზიდველი გავხადოთ, როგორიც მისი თვალწარმტაცი ბუნებაა". ეს სიტყვები მაშინ ოდნავ გაზვიადებულად ნათქვამი მეჩვენა, ახლა ცხადლივ ვგრძნობ მის რეალობას.

„ნუთუ ამ მხარეს დაცარიელების საფრთხე ელოდა?" — ვფიქრობ და ხარბად ვსუნთქავ ყინულივით ცივ, მაგრამ ჯანსაღ, ნაძვის სურნელით გაჟღენთილ ჰაერს.

ერთ ცნობაში ამოკითხული პატარა აბზაცი მიტრიალებს თავში: სახალხო მეურნეობის დაგეგმვასა და მართვაში წარსულში დაშვებულმა შეცდომებმა, ადგილობრივი პირობების გაუთვალისწინებლობამ დიდი ზიანი მიაყენა მაღალმთიანეთის, კერძოდ, ადიგენის რაიონის ეკონომიკას, მის სოციალურ-კულტურულ განვითარებას. მეურნეობათა დაბალმა რენტაბელობამ და შრომის ანაზღაურებამ, რთულმა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებმა ხელი შეუწყო მოსახლეობის მიგრაციას. ზოგიერთი მთის სოფელი მთლიანად დაცარიელდა, ზოგშიც კი კანტიკუნტად შემორჩა მოსახლეობა. თუ 1952 წელს ადიგენის რაიონში სახნავ-სათეს სავარგულებს 9.836 ჰექტარი ეკავა, იგი ორჯერ და მეტად შემცირდა, ასევე შემცირდა მსხვილფეხა პირუტყვისა და ცხვრის სულადობა.

კიდევ კარგი, რომ ამ წარსულის უსიამოვნო გახსენებას დღევანდელი სინამდვილე უპირისპირდება. ახლა რაიონში იშვიათად შეხვდებით ზარალიან მეურნეობას, ხოლო საერთო მოგებამ ასიათასობით მანეთი შეადგინა.

„კომუნისტის" მკითხველთა კონფერენცია კარგი განწყობილებით დაიწყო. გაქრა ის მღელვარება, რომელსაც მის დაწყებამდე განვიცდიდი.

დილით რაიკომში რაიონის მშრომელთა საქმიანობაზე მიღებული ინფორმაცია მკითხველთა გამოსვლებმა კიდევ უფრო გააღრმავა და შეავსო.

ახლა რაიონში იხვეწება და სრულყოფილი ხდება ხორცის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდების ისეთი ნაცადი ფორმა, როგორიც არის საზოგადოებრივ მეურნეობებთან მოსახლეობის კოოპერირება. მასში უკვე ჩაბმულია 2000-მდე ოჯახი, მეცხოველეობის ყველა რეზერვის გამოვლენისა და ამოქმედებისათვის გაშლილ მოძრაობას სათავეში უდგანან პარტიული ორგანიზაციები. მათი ინიციატივით მთელი რაიონის მასშტაბით დაიწყო ცხვრის წველა, რის შედეგადაც დამატებით დამზადდება 60 ტონა რძე. ფერსათისა და უდის საზაფხულო იალაღებზე დაიდგა შრატის გადასამუშავებელი აგრეგატი და დამატებით 75 ტონა რძე მიიღეს.

აქ დამოწმებულ ზოგიერთი მონაცემიდანაც კარგად ჩანს, რომ რაიონის სახალხო მეურნეობის განვითარება აღმავალი გზით მიმდინარეობს. ეს, რა თქმა უნდა, მთელი რაიონის დაძაბული მუშაობის შედეგია. ყოველივე ამას საფუძველი კი 1975 წლის ოქტომბერში ჩაეყარა, როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება „ადიგენის რაიონის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული დონის ამაღლებისა და მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ". ამ დადგენილებას მალე ბევრი სასიკეთო ცვლილება მოჰყვა, მაგრამ ეკონომიკაში ძირეულ გარდატეხას კარგა ხანს ვერ მიაღწიეს. 1981 წლის 8 დეკემბერს ამ ნაკლოვანებებზე მკაცრად იმსჯელა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, რომელმაც მკაფიოდ გამოკვეთა რაიონის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის სტილის არსებითად გარდაქმნის კონკრეტული ამოცანები. აქ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ 1982 წლის აგვისტოში ადიგენის რაიონში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. შევარდნაძის ყოფნას. ამ მოგზაურობის შედეგად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „კურორტ აბასთუმნის კეთილმოწყობის დამატებით ღონისძიებათა შესახებ".

და სწორედ ამის შემდეგ მოხდა ძირითადი გარდატეხა რაიონის პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში.

თუ არა ადამიანებთან გულლია, საქმიანი ურთიერთობა, დარწმუნების მეთოდის მომარჯვება, პრაქტიკული საქმეების სიკეთე და მომავლის პერსპექტივების გონივრული გააზრებისათვის პარტიული ორგანიზაციების შემოქმედებითი ზრუნვა, შეუძლებელი იქნებოდა ლაპარაკი იმ პატრიოტულ მოძრაობაზე, რომლის მიზანია დაცარიელებული სოფლების აღდგენა, ახალგაზრდობის დამკვიდრება, მთისკენ მთიელის შემობრუნება. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მხარი დაუჭირა რაიონში შემუშავებულ ღონისძიებებს და 1982 წლის მაისში მიიღო დადგენილება ადიგენის რაიონში ნასოფლარების აღდგენის შესახებ. ამჟამად ქალაქად საცხოვრებლად წასული მესხეთის მკვიდრნი ისევ უბრუნდებიან მშობლიურ მხარეს, ახალი სიცოცხლე დაიწყო სოფლებმა ზაზლომ, ამხერმა, უტყისუბანმა, ჭელასმა, ნამინაურმა, საირმემ. თავის ახალმშენებლებს მოელის კიდევ 25 ნასოფლარი. მეთერთმეტე ხუთწლედის ბოლომდე აღდგენილ სოფლებში 180 ოჯახი დასახლდება. ეს იმას ნიშნავს რომ ათვისებული იქნება კიდევ 530 ჰექტარი გამოუყენებელი მიწა.

ბევრი რამ კეთდება მოსახლეობის შრომის და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. მწყობრში ჩადგა 150-ადგილიანი რაიონული საავადმყოფო, ბოლო ორ წელიწადში აიგო მრავალი საცხოვრებელი სახლი, ადმინისტრაციული შენობები, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ობიექტები. გაჰყავთ სამანქანო გზები ძნელად მისადგომ მთის სოფლებში.

როცა ეცნობი რაიონის მშრომელთა მიღწევებს, ათვალიერებ აღორძინებულ სოფლებსა და ახალ სამრეწველო ობიექტებს, გული ლაღობს და სიამეს განიცდის, ბევრი რომ გაკეთდა და უფრო მეტის გაკეთებას რომ აპირებენ ადიგენელები.

გ. მარნელი.

ყაბახი

მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში

მოსკოვი

პოზიციური უპირატესობის მიუხედავად

ის, ვინც დაკვირვებით ადევნებს თვალს კარპოვ-კასპაროვის მართლაცდა მარათონული მატჩის მსვლელობას, უკვე არაერთგზის დარწმუნებოდა პრეტენდენტის უდიდეს სადებიუტო ერუდიციაში. მას ამ ორთაბრძოლისათვის ბევრი სიახლე აქვს მომზადებული. ერთი ასეთი სიურპრიზი კასპაროვმა ოცდამეთვრამეტე პარტიაშიც მოგვიტანა.

კარპოვმა შავებით ლასკერის გამბიტში კიდევ ერთხელ (მეოთხედ!) მიმართა ტარტაკოვერ — მაკოგონოვ-ბონდარევსკის დაცვას. პრეტენდენტმა გამოიყენა ვარიანტი, რომელიც უკანასკნელად თითქმის სამი თვის წინათ მეთორმეტე პარტიაში შეგვხვდა. 15 უწინდელი სვლის შემდეგ კასპაროვმა გვიჩვენა, თუ რა სიახლე მოამზადა. იგი მალე მთლიანად დაეუფლა ინიციატივას. შავების ცენტრალური პაიკი სუსტი იყო, მათი ფიგურები მხოლოდ დაცვით ფუნქციებს ასრულებდნენ. მაშინ, როცა კარპოვის პოზიცია მძიმე გახდა, დაცვის ამ დიდმა ოსტატმა რამდენიმე უზუსტესი (რომელთაც საჭადრაკო მიმომხილველები ჩვეულებრივ ერთადერთს უწოდებენ ხოლმე) სვლით შეინარჩუნა, „უკანასკნელი ზღუდეები". ეტყობა, მეტოქის მედგარმა თავდაცვამ კასპაროვზეც იმოქმედა, ყოველ შემთხვევაში, პოზიციაში, სადაც თეთრებს აშკარად უკეთესი პერსპექტივები ჰქონდათ (პრესცენტრში დიდოსტატებმა ნახეს რამდენიმე სვლა, რომლებიც პრეტენდენტს აძლევდა უპირატესობას), კასპაროვმა, საკმაოდ მოულოდნელად, თვით დაიწყო სვლების განმეორება. კარპოვმა, რა თქმა უნდა, სიამოვნებით მიიღო საყაიმო წინადადება და 26-ე სვლაზე „ზავი ჩამოვარდა".

ოცდამეთვრამეტე პარტია
კასპაროვი — კარპოვი
ლასკერის გამბიტი

1. d4 მf6 2. c4 e6 3. მf3 d5 4. მc3 კe7 5. კg5 h6 6. კh4 0-0 7. e3 b6 8. კe2 კb7 9. კ:f6 კ:f6 10. cd ed 11. b4 c5 12. bc bc 13. ეb1 კc6 14. 0-0 მd7 15. კb5 ლc7 16. ლc2 ეfd8 17. ეfc1 ეab8 18. a4 ლd6 19. dc მ:c5 20. კ:c6 ლ:c6 21. მb5 კe7 22. ლf5 ლe8 23. მe5 ეb7 24. მd4 ეc7 25. მb5 ეb7. ყაიმი სვლების განმეორებით.

ანგარიში ადრინდელია 5:1 (32 ყაიმი) კარპოვის სასარგებლოდ. მორიგი, ოცდამეცხრამეტე პარტია, რომელშიც თეთრებით მსოფლიო ჩემპიონი ითამაშებს, ორშაბათისათვის არის დანიშნული.

გ. გამრეკელი.

თავი ისახელეს

ფიდეს სამდივნომ ეროვნულ საჭადრაკო ფედერაციებს დაუგზავნა საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის მორიგი, სალონიკის კონგრესის დადგენილება წოდებათა მინიჭების შესახებ.

საჭადრაკო კომპოზიციაში დიდოსტატის წოდება მიენიჭა ცნობილ გორელ პრობლემისტს, არაერთგზის საბჭოთა კავშირის ჩემპიონს **იოსებ კრიხელს.** 40-იანი წლების დამლევს კრიხელი იყო საქართველოს მოსწავლეთა ჩემპიონი ჭადრაკში, მონაწილეობა მიუღია მოსწავლეთა საკავშირო ჩემპიონატებშიც. მაგრამ, როცა დადგა საკითხი, პრაქტიკული ჭადრაკი თუ კომპოზიცია, კომპოზიციამ გადასძლია. ნიჭიერ ეტიუდისტ **ველიმირ კალანდაძეს,** რომელსაც ახლა საერთაშორისო ოსტატის წოდება მიენიჭა, ასეთი არჩევანი არ გაუკეთებია. იგი პრაქტიკულ ჭადრაკსაც სიამოვნებით თამაშობს, ოსტატობის კანდიდატის წოდებაც აქვს, მაგრამ მთავარი მისთვის, მაინც კომპოზიციაა.

ახალი საერთაშორისო დიდოსტატების ჯგუფში თბილისელი მოჭადრაკე **გენადი ზაიჩიკიც** გახლავთ. შარშანწინ ზაიჩიკმა დიდოსტატის პირველი ბალი მიიღო უნგრეთში გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირში (I ადგილი), შარშანაც, ამჯერად უკვე პოლონეთში, გენადი კვლავ უძლიერესი იყო.

საერთაშორისო ოსტატის წოდება მიიღო **ზურაბ აზმაიფარაშვილმა,** თუ მის შესაძლებლობებს გავითვალისწინებთ, ეს 24 წლის თბილისელისათვის შეიძლება „დებიუტად" ჩავთვალოთ.

სატურნირო ორბიტა

კალათბურთი. მოსკოვსა და კაუნასში დაიწყო უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ფინალური ტურის მატჩები. გთავაზობთ პირველ დღეს გამართული შეხვედრების შედეგებს: **მოსკოვი.** ცსკა-თბილისის „დინამოს" — 101:71, კიევის „სტროიტელი-რიგის ვეფი—86:81; **კაუნასი.** მინსკის რტი-კაუნასის „ჟალგირისი" — 83:84, ლენინგრადის „სპარტაკი"-კიევის ასკ — 85:77. ამ ეტაპის პირველი დღის მატჩების შემდეგ გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთი გახლდათ: „ჟალგირისი" — 44 ქულა, ცსკა — 43, „სპარტაკი" — 39, „სტროიტელი" და ვეფი — 35-35, რტი, თბილისის „დინამო" და ასკ — 33-33 ქულა.

ცურვა. ახალი მსოფლიო მიღწევებით აღინიშნა ფეიეტვილში (აშშ, არკანზასის შტატი) მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრების პირველი დღე. გაიცანით ისინი, ვინც წარმატებით ისპარეზეს: „დირკ რიხტერი (გდრ)— მან გულაღმა 100 მეტრი 54,34 წამში გაცურა; სვენ ლოძიევსკი (გდრ). იგი 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში იყო უძლიერესი — 1.48,61; იენს-პეტერ ბერნდტი (გდრ), რომელმაც 400 მეტრზე კომბინირებულ ცურვაში გაიმარჯვა — 4.18.50.

სათხილამურო სპორტი. ინსბრუკში (ავსტრია) გაიმართა „ოთხი ტრამპლინის ტურნეს" მესამე ეტაპის შეჯიბრება. აქ უძლიერესი გახლდათ მატი ნიუკიანენი (ფინეთი) — 219,3 ქულა (ნახტომები: 105 და 110 მ). მეორე ადგილზე გამოვიდა იენს ვაისფლოგი (გდრ) — 215,8 (103,5 და 109 მ), მესამეზე — პავლე პლოცი (ჩეხოსლოვაკია) — 208,8 (112 და 98 მ).

ჰოკეი. მაინის-ფრანკფურტში (გფრ) დამთავრებულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე პირველი ადგილი მოიპოვა გორკის „ტორპედომ". კატოვიცეში (პოლონეთი) კი დამთავრდა საერთაშორისო შეჯიბრება „მეგობრობა" ჭაბუკთა გუნდებს შორის. აქ პირველობას დაეუფლა სსრ კავშირის ნაკრები.

ქორწილების დეკადა

ანუ გახსენება კანონისა, რომელიც 1984 წლის 17 აგვისტოს შევიდა ძალაში.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 223 პრიმა მუხლი:

ფიქციური ქორწინება ან ფიქციური განქორწინება ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით ორას მანეთამდე.

ფელეტონი

ი ამ დღეს არავინ არ გადიქცა ჩემებრ. ქორწილად, მას აზამბარი მიეუსაჯოთ კიდევ ორწილად, —ბრძანა თამადამ და წარმოთქვა ნეფე-დედოფლის სადღეგრძელო.

ითქვა სიტყვა ბედნიერებაზე, ოჯახზე — ერის ბურჯზე, გამრავლებაზე, გაისმა მრავალჟამიერი...

ბიჭიც ჩაუგორეს კალთაში დედოფალს. ასე შეხვდნენ მექორწილენი ალიონს...

...და ყველაფერი ეს იმ დღეს არ ყოფილა.

ფარულად, ჩუმად, სხვისი საკუთრების დაუფლების სურვილით თუ ანგარებით შეპყრობილმა „ნეფე-დედოფალმა" ასე აღისრულა განზრახული...

თბილის-კიევის ტურისტულ მატარებელში მოვკარით თუ არა ერთმანეთს თვალი, მე და თბილისელმა ჩვიდმეტი წლის ალექსანდრე ფრიდონოვმა, გულებმა რეჩხი გვიყვესო. ამას გვეხაიდუმლოება „ქმარზე" თერთმეტი წლით უფროსი ცხაკაიელი ჯულიეტა ფირცხალავა.

ყველაფერს აქვს თავისი დასასრული.

საექსკურსიო მატარებელი თბილისში დაბრუნდა.

ბებია სოფიომ ჩაავლო ხელი საყვარელ შვილიშვილს და შეყვარებული ალიოშა სლუკუნ-სლუკუნით სახლისაკენ წაიჩანჩალა.

ჯულიეტამ ვერაფრით ვერ ამოიგდო გულიდან „თავის რომეო".

მიჯნურნი ეძებდნენ ერთმანეთს, როგორც ქარიშხლისაგან დაშორებული მტრედების წყვილი.

გაწყრა ამური და ალიოშა ფრიდონოვი ჯარში წაიყვანეს. სიშორე რას მიქვიაო, ამბობს ჯულიეტა ფირცხალავა, და მაინც ვახერხებდი იქ ჩასვლას და შეხვედრებსო.

გავიდა დრო... ალიოშა ფრიდონოვი, როგორც ჯულიეტა ამბობს, რაღაც დანაშაულისათვის დაიჭირეს და ხუთი წელიწადი მიუსაჯეს. ახლა სასჯელს შრომაგასწორების კოლონიაში იხდის.

— პოი, ხიყვარულო, რა ძალა გაქვს. ვერ დამივიწყა და მეც ვერ დავივიწყე, იქიდან შემომითვალა, რომ მენახა. შემეცოდა ცხრაკლიტულში მყოფი ჩემი ალექო და გადავწყვიტე ცოლად გავყოლოდი, აღსრულდა წლების ნაოცნებარი, რა დამავიწყებს 1983 წლის 10 ივნისს, როცა წულუკიძის რაიონის დედალაურის სასოფლო საბჭოში ხელი მოვაწერეთ და გავაფორმეთ ქორწინების დამადასტურებელი აქტი... იმ დღიდან ვარ მისი კანონიერი მეუღლე და ვცხოვრობ მის სახლში, თბილისში, 26 თებერვლის ქუჩის № 18-ში.

დაიჯერება ვითომ ახლა ამ ამბავს? ისე პასუხს ნუ იჩქარებ მკითხველო, სანამ ბოლომდე არ ჩაიკითხავ „ქორწილების დეკადას".

ეს ერთი ქორწილი და სხვა მრავალიო, თქვა ალიოშას დედამ სვეტლანამ და ათი დღის შემდეგ თვითონ მოაწერა ხელი თავის ყოფილ ქმართან ვასილ ფრიდონოვთან, რომელსაც 17 წლის წინ გაცილდა.

ქორწილების დეკადა დაუდგათ ფრიდონოვებს!

ამ მრავალუცნობიან განტოლებას ამოხსნა სჭირდება.

ვასილმა, როგორც კი გასცილდა სვეტლანას, სხვა ქალი შეირთო. როცა თაღლითობისათვის ვასილ ფრიდონოვი პასუხისგებაში მისცეს, ეს ქალიც გაეყარა.

ვასილი საცხოვრებლად ჩაეწერა დედამისთან, სოფიოსთან, რომელიც ათ კვადრატულ მეტრიან ოთახში ცხოვრობდა.

მოქმედებაში უნდა ჩავრთოთ სხვა ნათესავებიც. ვასილის და მარიამი და მისი ბებია ნინო ფრიდონოვა. ას წელს მიღწეული ბებია ნინო კამოს ქუჩის № 6-ში ცხოვრობდა 25 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის მქონე ბინაში.

ბებიაჩემი ცას ხომ არ გამოეკიდებაო, და მარიამი, როგორც მომვლელი, ჩაეწერა კამოს ქუჩაზე. რამდენიმე წელიწადში გარდაიცვალა ბებია. მომვლელად ჩაწერილმა მარიამ ფრიდონოვამ როგორღაც მოახერხა ბინის თავის სახელზე უკანონოდ გადაფორმება. სამოქალაქო კოდექსით კი მოსავლელის გარდაცვალების შემდეგ მომვლელად ჩაწერილი ბინაზე უფლებას კარგავს.

მარიამ ფრიდონოვა ნამდვილად გათხოვდა 1976 წელს და საცხოვრებლად გადავიდა ქმართან უშანგი ჩხეიძის ქუჩაზე მდებარე სამოთახიან ბინაში. კამოს ქუჩაზე კი გამოიკეტა სახლი.

კამოს ქუჩაზე ბინა რომ არ დაკარგულიყო, მარიამმა ხერხი იხმარა და 1977 წელს ფიქტობრივად გადაუცვალა 26 თებერვლის ქუჩის № 10-ში მცხოვრებ დედას სოფიოს. მართალია, დედა და ძმა კამოს ქუჩაზე გადმოვიდნენ, მაგრამ თვითონ ერთი დღეც არ უცხოვრია 26 თებერვლის ქუჩაზე, ანდა ორად ხომ არ გაიჭრებოდა?!

მალე ალექსანდრეს ანუ ალიოშას ბებია სოფიოც გარდაიცვალა.

მძიმე სენით დაავადდა მამა, ვასილ ფრიდონოვი ლოგინად ჩავარდა. ყველაფერი ეს შეიტყო თუ არა სვეტლანამ, არც აცივა და არც აცხელა და მომაკვდავთან სასწრაფოდ მიიყვანა მამის ბიუროს თანამშრომელი და ხელმეორედ იქორწინა ჩვიდმეტი წლის წინათ გაცილებულ ვასილ ფრიდონოვთან.

ოციოდე დღის შემდეგ ვასილ ფრიდონოვი გარდაიცვალა. სვეტლანამ კი ხან რაიაღმასკომს მიაკითხა, ხან მილიციას, რომ ჩაწერილიყო კამოს ექვსში. ფოტოსურათებიც კი დაჰქონდა ჯვარისწერის დასამტკიცებლად, მაგრამ არ დაუჯერეს, რადგან ქორწინება ბინის ხელში ჩაგდების გამო მოხდა და ფიქციური იყო.

ოქტომბრის რაიონის აღმასკომმა სასამართლოში სარჩელი აღძრა, რომ ბინიდან გამოესახლებინათ ჩაუწერელი პატარძალი.

1983 წლის სექტემბერში ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლომ საქმე განიხილა.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ვასილ ფრიდონოვი გარდაიცვალა 1983 წლის 10 ივლისს, ხოლო ქორწინების რეგისტრაციაში გატარდა 1983 წლის 21 ივნისს, გარდაცვალებამდე ოცი დღით ადრე, რაც მიუთითებს, რომ აღნიშნული ქორწინების რეგისტრაციით მოპასუხე სვეტლანა ფრიდონოვა ცდილობს საცხოვრებლად დაეუფლოს სადავო ბინას. ეს საქმე რომ მოაკვარახჭინა, მერე იხლა დარჩენოდა, 26 თებერვლის ქუჩაზე მდებარე ბინიდან ამოწერილიყო და იქაურობა ძვირფასი „რძლის" ჯულიეტასთვის დაეტოვა. ახეც მოიქცა.

აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ დაადგინა: სვეტლანა ალექსანდრეს ასული ფრიდონოვა გამოსახლებულ იქნეს ქ. თბილისში, კამოს ქ. № 6-ში მდებარე სახლის მეორე სართულის 25 კვ. მეტრი ფართობის ბინიდან.

სვეტლანა ფრიდონოვა ადგა და ქალაქის სასამართლოში გაასაჩივრა. საქმე მითითებით დაბრუნდა უკან და ახლა მეორე შემადგენლობამ გაარჩია და ადრინდელი გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. არ დაცხრა სვეტლანა და კვლავ გაასაჩივრა. მაგრამ ქალაქის სასამართლო კოლეგიამ გადაწყვეტილება სწორად ჩათვალა და დაამტკიცა. ახლა პრეზიდიუმი ჩარია სამართლიანი გადაწყვეტილებით განაწყენებულმა მოპასუხემ, პრეზიდიუმმა საქმე დაარღვია და ისევ ოქტომბრის რაიონში დააბრუნა. მოსამართლე ზ. ქორჩილავას წუთით არ უყოყმანია. და გადაწყვიტა სვეტლანა ფრიდონოვამ ნამდვილად უნდა იცხოვროს კამოს ექვსში. ეს გადაწყვეტილება ოქტომბრის რაიონის პროკურატურამ, სრულიად სამართლიანად, უკანონოდ ჩათვალა და პროტესტი დაწერა, რომელსაც მხარი დაუჭირა ქალაქის პროკურატურამ. ქალაქის სასამართლოს პრეზიდიუმმა გაიზიარა პროტესტი და გადმოუგზავნა მითითებით, რომ მოსამართლე ზ. ქორჩილავას გადაწყვეტილება სწორი არ იყო.

გართულდა საქმე. მას ხელი მოჰკიდა ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ და გასარჩევად დანიშნა 1984 წ. 5 ნოემბერს. მოპასუხემ შეატყო, რომ სამართალს კვლავ პური უნდა ეჭამა, სხდომაზე კი გამოცხადდა, მაგრამ თავისი ადვოკატის მოუცლელობა მოიმიზეზა. სასამართლო იძულებული გახდა საქმის განხილვა გადაედო. შემდეგ სხდომაზე სვეტლანამ კვლავ იხმარა ფანდი, ავად ვარ და პროცესზე ვერ მოვალო. კვლავ დაინიშნა სასამართლო. ამჯერად ს. ფრიდონოვამ სასამართლო შემადგენლობას განუცხადა: მე და ჩემმა განსვენებულმა მეუღლემ ვასილმა უკანასკნელი ხელის მოწერის დროს სურათები გადავიღეთ. ეს ისეთი დოკუმენტია, ქვას გატეხსო. ამჟამად აქ არ მაქვს და საქმის გარჩევაზე კატეგორიულ პროტესტს ვაცხადებო. შემდეგი სხდომა 28 ნოემბრისათვის დაინიშნა. მოპასუხე არ გამოცხადდა და საქმე კვლავ გადაიდო 4 დეკემბრისათვის.

მოვიდა სასამართლოზე სვეტლანა ფრიდონოვა, რაღაცეები მიკიბ-მოკიბა და საერთოდ ოქტომბრის რაიონის სასამართლოს აცილება მისცა. ს. ფრიდონოვა ალბათ იმ კანონსაც მისცემდა აცილებას, აქ ფელეტონის ქვესათაურში რომ ავაწყვეთ თვალსაჩინოდ, მაგრამ, ვაი რომ... ამის ძალა აღარ შესწევს!

ზ. ბახტურიძე.

მოსკოვი

6 იანვარი

[illegible]

11.00 — პ. ჩაიკოვსკი — №5 სიმფონია. 11.50 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 12.10 [illegible]

ტური ფილმი „ტრადიციების მემკვიდრენი". 16.40 — კონცერტი. 17.15 — ფილმი — ბავშვებს [illegible]

7 იანვარი

[illegible]

ჩვენს ტელეეკრანზე

[illegible]

თბილისი

6 იანვარი

[illegible]

7 იანვარი

[illegible]

ექსანდრე სოვრასოვი", „იური რიშკას „კულიკოვოს მინდორი". 17.15 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დამეხმარეთ ილბუზზე ასვლაში". 17.50 — მხატვრული ფილმი „მიშუკი".

თეატრი

6 იანვარი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — კონცერტი (დღისით), პორგი და ბესი (საღამოს); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ღია შუშაბანდი (დღისით), სამიდან ექვსამდე (საღამოს); თბილისის სახელმწიფო დრამატული — ივეთომ გურჯი (მე-5 აბონ. I წარმოდგენა); აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი (დღისით), ქუთათურთა ფანდები (საღამოს); მინიატურების სახელმწიფო — ნურც გაფრინდებით, ნურც მოფრინდებით (დღისით), ახალ ბინას გილოცავთ (საღამოს); მეტეხის თეატრი — შვეიკი (დღისით). ჯაზი ეშმაკი და სიყვარული (საღამოს), კინომსახიობთა თეატრი — ცილინდრი (პრემიერა).

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

კომუნისტი ინდექსი 66434 [illegible] ხუთშაბათი 29.